ხუთშაბათი 5 მარტი 1996 წ.

კავკასიონი

ეროვნული გაზეთი

The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი № 37 (331)

ფასი 40 თეთრი

გახსოვდეს აფხაზეთი!

საქართველო

«ზრუნავენ» გალელებზე

ე.წ. აფხაზეთის პრეზიდენტის მიერ გალსა და გალის რაიონის მოსახლეობისადმი გაკეთდა ოფიციალური მიმართვა, რის თანახმადაც, დაბრუნებული ლტოლვილი მოსახლეობა ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია და ანკეტირება, რომელიც აფხაზმა მხარემ 1995 წლის 25 მარტს შემოიღო ლტოლვილთა დაბრუნების აუცილებელ პირობად. მიმართვის თანახმად, თვითნებურად დაბრუნებულმა ლტოლვილმა მოსახლეობამ უნდა მიმართოს ადგილობრივი ადმინისტრაციის ლტოლვილთა საქმეების სპეციალურ კომისიას, რომელსაც გალის რაიონის სოფლის მეურნეობის გამგეობის უფროსი კაპიტონ კიკორია ხელმძღვანელობს. უარის ან იგნორირების შემთხვევას, მიმართვის ავტორთა სიტყვებით, შეიძლება მოჰყვეს ნეგატიური მოვლენები. აღსანიშნავია, რომ ანკეტის იმ მონაკვეთში, სადაც მითითებულია ეროვნება, უნდა ჩაიწეროს აფხაზი, უკეთეს შემთხვევაში, მეგრელი და არავითარ შემთხვევაში — ქართველი.

იმავე წყაროებზე დაყრდნობით კორესპონდენტი იტყობინება, რომ ე.წ. აფხაზეთის პარლამენტმა უკვე მიიღო კანონი რეფერენდუმის შესახებ.

არქინბა ქართულ ბატალიონს ქმნის

ვლადი... არქინბამ გამოცა ბრძანება ქართულ ბატალიონ „კოლხეთის“ შექმნის თაობაზე, რომლის მეთაურადაც ზვიად გამსახურდიას ყოფილი მომხრე იური ბაძაღუა დანიშნა. მას დავალებული აქვს ექსპრეზიდენტის ყოფილი მომხრეების შეკრება და ბატალიონში გალის რაიონის ახალგაზრდობის იძულებითი ჩაწერა. ბატალიონის შექმნის მიზანია საქართველოს მხრიდან მოსალოდნელი თავდასხმისგან თავდაცვა.

«ზვიადის პარტიის» პოზიცია

„ზვიადის პარტიამ“ გავრცელა მიმართვა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის მიმართ, სადაც ... ქვეყანაში მკაცრად არის გაკრიტიკებული კანონპროექტი მიწის საკუთრების შესახებ. „ზვიადის პარტიის“ წევრები არ გამორიცხავენ, რომ აღნიშნული კანონის მიღებას შეიძლება მოჰყვეს ცვლილებები მოქალაქეობის კანონში, ორმაგი მოქალაქეობის დაკანონებით, რითაც რეალური საფრთხე დაემუქრება მთლიანად ქვეყანას და „სავალუტო ფონდის კრედიტში გირაოდ ჩადებული საქართველოს მიწა ვალის გადაუხდელობის კანონით კრედიტორთა საკუთრებაში დარჩება“. მომავალში კატეგორიულად მოითხოვენ მიწის კანონის მიღების შეჩერებას ეკონომიური კრიზისიდან გამოსვლამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში „ზვიადის პარტია“ ორგანიზებას გაუკეთებს მასიურ გამოსვლებს პრეზიდენტის უპირობო გადადგომის მოთხოვნით.

ამასთან დაკავშირებით, ამავე პარტიამ გუშინ გავრცელა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ 5 მარტს 11 საათზე პარლამენტის შენობის წინ „ზვიადის პარტია“ და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები აწყობენ მიტინგს, მიწის საკუთრების კანონის შეჩერების მოთხოვნით.

საგენტოს კორესპონდენტი დაუკავშირდა თბილისის მერიას, საიდანაც მას აცნობეს, რომ 5 მარტს თხოვნა მიტინგის ჩატარების ნებართვაზე მასთან არ შესულა, მაგრამ ამგვარი თხოვნის შემთხვევაშიც მიტინგის ჩატარებაზე სანქცია მაინც არ გაიცემოდა, რადგან პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ყველა სახის გამოსვლები და მიტინგები აკრძალულია.

დასრულდა ზაურ ქობალიას პროცესი

გუშინ უზენაეს სასამართლოში დასრულდა ექსპრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, მომხრე ზაურ ქობალიას სასამართლო პროცესი. სასამართლომ იგი დამნაშავედ ცნო სამშობლოს ღალატსა და ბანდიტიზმში და მიუსაჯა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორებით კოლონიაში მოხდით. როგორც მსჯავრდებულის ადვოკატმა თემურ გოქსაძემ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, მას შემდეგ, როგორც კი იგი გაეცნობა სასამართლოს სხდომის ოქმს, დაიწყებს მასალების საფუძვლიან მოშზადებას საზედამხედველო საჩივრის აღძვრის თაობაზე, რადგანაც მიიჩნევს, რომ განაჩენი არ გამომდინარეობს საქმის რეალური გარემოებიდან და სუსტად არის არგუმენტირებული.

რაც შეეხება ლოთი (ვახტანგ) ქობალიას სასამართლო პროცესს, 4 მარტს უზენაეს სასამართლოში მიმდინარეობდა მოწმეთა ჩვენებების წაკითხვა. იგი დღეს დილის ათი საათიდან გაგრძელდება.

იფრინდა

სტუმარი

თურქეთის დელეგაციის ვიზიტი თბილისში

გუშინ თბილისში ჩამოვიდა თურქეთის რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების დელეგაცია მუსტაფა ქალიმლის თავმჯდომარეობით.

ვილაიეთი საქართველოში

4 მარტს დამთავრდა ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის, ალი აკბარ ვილაიეთის ვიზიტი საქართველოში. ამ დღეს იგი შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს და აღნიშნა, რომ საქართველოში მისი ვიზიტი დსთ-ს ქვეყნებში მოგზაურობის ერთ-ერთი ნაწილია; ვილაიეთის განცხადებით, ირანის ისლამური რესპუბლიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დსთ-ს ქვეყნებთან კონტაქტების გამყარებას და რეგიონალური კოოპერაციის განმტკიცებას.

იფრინდა

ხიდი

აღდგენილია ავიარეისი

როგორც სააგენტოს კორესპონდენტს აცნობეს საქართველოში სომხეთის საელჩოდან, ორმხრივი მოლაპარაკების თანახმად, აღდგენილია ავიარეისი თბილისი-ერევანი. ამ მიზნით და ტექნიკური საკითხების გადასაწყვეტად, საქართველოში ჩამოვიდა სომხეთის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსი, შაგენ პეტროსიანი. რეისი შედგება კვირაში ორჯერ. ბილეთის ღირებულებაა 32 ამერიკული დოლარი.

იფრინდა

ახალი საზღვარგარეთი

ხანძარი მოსკოვის მეტროში

გუშინ, დილის შვიდის ნახევარზე, მოსკოვის მეტროს ნრიული ხაზის ერთ-ერთ სადგურში, მოკლე ჩართვის გამო, კაბელი დაიწვა. ხანძარი 2 საათის შემდეგ ჩააქრეს. მსხვერპლი არ არის. მეტროს სადგურის სამ თანამშრომელს ადგილზე აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, მოსკოვის მეტრო აშკარა ფინანსურ კრიზისს განიცდის. თანხა კი ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა გამოყოს. ხანძრის ერთ-ერთ მიზეზად, უფულობის გამო, აუცილებელი პროფილაქტიკური სამუშაოების ვერჩატარებასაც ასახელებენ.

გრაჩოვი — გროზნოში

გუშინ დილით მოზდოკში ჩავიდა რუსეთის თავდაცვის მინისტრი პავლე გრაჩოვი. გუშინვე იგი გროზნოში გაემგზავრა. დღეს კი კრასნოდარს ეწვევა. ამ მხარეში გრაჩოვის ჩასვლის მიზანია, იმ სამი სამხედრო დაჯგუფების მზადყოფნის შემოწმება, რომლებიც სპეციალურად დუდაევის მომხრე ფორმირებების წინააღმდეგ საბრძოლველადაა შექმნილი.

პროგრამა „ნოვოსტის“ ცნობით, პავლე გრაჩოვმა დაადასტურა მზადყოფნა, შეხვდეს ჯოჰარ დუდაევს, მის საველე მეთაურებს და გამართოს მათთან მოლაპარაკება კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების თაობაზე. „მე მზად ვარ, დუდაევს, თუ ის ვაჟკაცია, შევხვდე თუნდაც გამოქვაბულში“, — აცხადებს რუსეთის თავდაცვის მინისტრი. დუდაევის რეაქცია ამ წინადადებაზე, ჯერჯერობით, უცნობია. გრაჩოვმა ისიც დასძინა, რომ დუდაევის მომხრე ფორმირებებს აღარ შესწევთ ძალა, წინააღმდეგობა გაუნიოს ფედერალურ ძალებს. მათ „უსახელო აღსასრული“ ელოდებათ...

ტრაგედია სერნოვოდსკში

კვირას, დილის ექვს საათზე, ფედერალურმა ჯარებმა დაიწყეს სერნოვოდსკის ჩეჩენი მებრძოლებისგან განმშდის ოპერაცია. თვითმხილველთა თქმით, რაიონი ინტენსიურად იბომბებოდა. ფედერალური ჯარების მეთაურმა გენერალმა ტიხომიროვმა განაცხადა: „ჩვენ, ჩეჩნეთის და რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროების დაჯგუფებებთან ერთად, ვანარმოებდით სერნოვოდსკის იმ ტერიტორიების შემოწმებას, სადაც დუდაევის მომხრე ფორმირებები იყვნენ დაბანაკებულნი. მოსკოვის დროით 7 საათსა და 45 წუთზე, რაიონის ჩრდილოეთის მხრიდან ჩეჩნებმა გახსნეს ცეცხლი. ასე დაიწყო ბრძოლა“. ტიხომიროვის თქმით, მონინააღმდეგე სერიოზულ დანაკლისს განიცდის. დაჭრილია 7 ჩეჩენი ომონელი. უფრო დანვრილებითი ინფორმაცია გენერალს არ გადმოუცია.

გენერალი ტიხომიროვი

არის მონაცემები მშვიდობიან მოსახლეთა დაღუპვის შესახებ. ნინა საბრძოლო ოპერაციების გამოცდილება აჩვენებს, რომ ე.წ. „წმენდის“ დროს, თავად მებრძოლებზე არანაკლები რაოდენობის მშვიდობიანი მცხოვრები იღუპება. რუსი სამხედროები ამტკიცებენ, რომ ისინი მოსახლეობას უფლებას აძლევენ, დატოვონ სერნოვოდსკი და გაემართონ დასავლეთით, დასახლება ორჯონიკიძევსკაიაში. როგორც „რიანოვოსტი“ იუწყება, გუშინ, 14 საათზე ბრძოლები შეწყდა და დაიწყო მოლაპარაკება სერნოვოდსკის უხუცეს მცხოვრებლებს, ზავგაევის ხელისუფლებისა და ფედერალური ჯარების ხელმძღვანელობის წარმომადგენლებს შორის. მოლაპარაკება, შესაძლოა, სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებით დამთავრდეს.

ბოლო მონაცემებით, ფედერალური ძალების პოზიციები 26-ჯერ დაიცხრილა, მათ შორის, გროზნოში — 19-ჯერ. დაიღუპა 7 რუსი სამხედრო მოსამსახურე.

ნიმერშია

ინტერვიუ ისრაელის ელჩთან საქართველოში ქალბატონ ლილი ხახამთან

იხილეთ მე—2 გვ.

ისრაელი — ტრაგიკული სერიალი გრძელდება

3 მარტს სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფება „ჰამასის“ მიერ იერუსალიმში განხორციელებულმა ტერაქტმა შეაძრწუნა მსოფლიოს პოლიტიკური ელიტა, თუმცა იგი არც მოულოდნელი ყოფილა და არც ორიგინალური ხელწერით გამოირჩეოდა. მიმომხილველებმა უცებ გაიხსენეს, რომ ორი წლის წინ, 1994 წლის 25 თებერვალს



ებრაელი ფანატიკოსის ბარუხ გოლდშტეინის მიერ ჰებრონის მეჩეთში მლოცველი 29 არაბის დახოცვამ სათავე დაუდო საპასუხო ტერაქტების სერიას, რომელიც დღემდე გრძელდება.

უკვე იმავე წლის 6 აპრილს ქ.აფულაში ავტობუსის აფეთქებამ, რომელზეც პასუხისმგებლობა „ჰამასმა“ აიღო, 8 ებრაელის, ხოლო ერთი კვირის შემდეგ, 13 აპრილს ქ.ხადერაში განხორციელებულ ანალოგიურ აქტს, კიდევ 6 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

გადის კიდევ ექვსი თვე და ჰამასელებს ტყვედ ავავთ ებრაელი სამხედრო მოსამსახურე, რომელიც მის **გასათავისუფლებლად** ისრაელის სპეცსამსახურების მიერ განხორციელებული **წარუმატებელი** ოპერაციის შემდეგ დაიღუპა, 19 ოქტომბერს კი თელ-ავივში კვლავ **ფეთქდება** ავტობუსი. შედეგი — 23 დაღუპული (მათ შორის, თავად ტერაქტის **შემსრულებელი**).

ტერაქტების მომდევნო „აფეთქების“ ქრონოლოგია“ ასეთია:

1994 წლის 11 ნოემბერი: **დაჯგუფება „ისლამური ჯიჰადის“** წევრი მოტოციკლეტით შეიჭრა ღაზის სექტორში **ისრაელის** სამხედრო ობიექტის ტერიტორიაზე და 3 ჯარისკაცი იმსხვერპლა.

1994 წლის 25 დეკემბერი: ისრაელის 13 მოქალაქე დაიღუპა ავტობუსის გაჩერებაზე განხორციელებულ აფეთქებისას, რომელიც **პალესტინელმა** პოლიციელმა განახორციელა.

1995 წლის 22 იანვარს ქალაქ ბეთელიდში „ისლამური ჯიჰადის“ ბოევიკებმა ააფეთქეს თვითნაკეთი ყუმბარა, რის შედეგადაც დაიღუპა 21 მოქალაქე.

1995 წლის 9 აპრილი: 2 აფეთქების შემდეგ ისრაელის 8 მოქალაქე დაიღუპა ღაზის სექტორში, **რის** შემდეგაც პალესტინის ნაციონალური ადმინისტრაციის ხელმძღვანელის იასირ არაფატის ბრძანებით დაიწყო „ჰამასის“ და „ჯიჰადის“ წევრთა დაპატიმრების ფართომასშტაბიანი ოპერაცია.

1995 წლის 24 იელისი: ავტობუსის აფეთქება თელ-ავივის გარეუბან რამატგანში — დაიღუპა 7 კაცი.

1995 წლის 21 აგვისტო: 5 ადამიანი დაიღუპა იერუსალიმში ჰამასელების მიერ დადებული ბომბის აფეთქების შედეგად.

1995 წლის 2 ნოემბერი: პალესტინელების მიერ ღაზის სექტორში 2 ავტობუსის აფეთქების შემდეგ, სულ ცოტა 8 ადამიანი მიიღო სხეულის სერიოზული დაზიანება.

1996 წლის 25 თებერვალი: ... 2 აფეთქების შემდეგ დაიღუპა 27 კაცი, ... შორის, 2 ამერიკელი ...

1996 წლის 26 თებერვალი: **პალესტინური წარმოშობის** ამერიკელი ... ავტომობილით შეიჭრა შეჯგუფებულ ხალხში, 1 ადამიანი დაიღუპა და ... და ბოლოს, 3 მარტს, **კვლავ ავტობუსის** აფეთქება იერუსალიმში. ... შედეგადაც დაიღუპა 19 ადამიანი.

მდგომარეობა ისრაელში ძალიან დაძაბა. შეჩერდა ... დაკავშირებული მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი და ... შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადება. სპეციალურად მოწვეულ ... კაბინეტის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ პალესტინა საბოლოოდ გამიჯნულ იქნას ისრაელისგან და საზღვრის მიდებარე ტერიტორიებზე, კერძოდ, ღაზის სექტორში, აიკრძალოს თავისუფალი მოძრაობა. ისრაელის არმიამ დააპატიმრა რამდენიმე პალესტინელი მდინარე იორდანის დასავლეთ სანაპიროზე, მიმდინარეობს კონკრეტულ დამნაშავეთა ძიება, თუმცა, ისედაც ნათელია, რომ პასუხისმგებლობა მომხდარზე კვლავ სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფება „ჰამასს“ ეკისრება.



შიმონ პერესი

ისრაელის პრემიერმინისტრი შიმონ პერესი იძულებულია, ძალიან მკაცრი და **გადამჭრელი ზომების** მიღებაზე იფიქროს, მითუმეტეს, **რომ ქვეყნის** შიდაპოლიტიკური ძალები მოითხოვენ **გადამწყვეტ** მოქმედებებს ტერორისტების **წინააღმდეგ** და ყოველგვარი სამშვიდობო მოლაპარაკების ... ტას, **მაგრამ** მსოფლიო ლიდერები დაეთანხმებით **ურჩევენ** პერესს, არ ... სამშვიდობო **პროცესი.**

აშშ პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა განაცხადა, რომ იგი თანაბრად ... **მხარეში** როგორც **პერესს,** ისე **პალესტინელთა** ლიდერს იასირ არაფატს, ... დაეხმაროს **აშშ** მეგობრებს შშვიდობის შენარჩუნებაში. „ყველაფერს კეთებთ მათ დასამარცხებლად, ვისაც არ სურს სამყაროდ და ვისი მიზეზითაც იღუპება ხალხი“, — თქვა მან.

ზბიგნევ ბჟეზინსკი

აშშ ყოფილი **პრეზიდენტის** თანაშემწემ ეროვნული უშიშროების დარგში ზბიგნევ ბჟეზინსკიმ განაცხადა, რომ ... **აფეთქების** დრო შემორკვეულია ... ჯოჯოხეთურად ... სახიფათო. სტრატეგიაა. ... ისევ მოწყობილი, რომ პერესი ... ... ვერ ... ეაფატს წაუვლინოს ... ... **ისრაელის** **მეგობრად** წარმოაჩენს ... **შემდეგ** კი **საკუთარ** **პოზიციას** **პალესტინელებს** **გადააბრალებს** **და** **პერესი** **ზავგაევ-კონფლიქტურ** **მდგომარეობაში:** **ისრაელში** **თანხმობა** **დაირღვევა,** **გაძლიერდება** **სამშვიდობო** **პროცესის** **ოპოზიცია** **და,** **შექმნილი** **სიტუაციიდან** **გამომდინარე,** **სამშვიდობო** **პროცესი** **კრახს** **განიცდის“,** — ასეთი **მწავე** **და** **კრიტიკული** **პოზიცია** **გამოხატა** **ბატონმა** **ბჟეზინსკიმ** **თავისი** **სატელევიზიო** **გამოსვლისას.**

პალესტინის ეროვნული ადმინისტრაციის თავმჯდომარემ **იასირ** **არაფატმა** **მიიღო** **გადაწყვეტილება** **ავტონომიის** **ტერიტორიაზე** **იმ** **სამხედრო** **დაჯგუფებებისა** **და** **ორგანიზაციების** **ფუნქციონირების** **აკრძალვის** **შესახებ,** **რომლებიც** **ისრაელის** **წინააღმდეგ** **მიმართულ** **ტერაქტებს** **ახორციელებენ.**

გაგრძელება მე-2 გვ.

ინტერვიუ

რაციონალიზმი სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება

გვესაუბრება სახელმწიფო კანცელარიის პოლიტიკურ პარტიებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობის ჯგუფის უფროსი, მთავარი სახელმწიფო მრჩეველი რევაზ სალუნიშვილი.

— რა პროცესები მიმდინარეობს დღეს საქართველოს მრავალპარტიულ სისტემაში, რამდენად შეესაბამება არსებული ვითარება დემოკრატიული ქვეყნების სტანდარტებს?

— პარტიული სისტემის ფორმირების პროცესი საქართველოში, ჯერჯერობით, დასრულებული არ არის. ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ პოლიტიკურ ორგანიზაციებს უჭირთ იდეოლოგიურ-კონცეპტუალური ნიშნით გაერთიანება, იქმნება დროებითი ალიანსები, წინასაარჩევნო ბლოკები, რომლებიც დღეგრძელობით ვერ გამოირჩევა. პოლიტიკურ ორგანიზაციებში გაერთიანება, ძირითადად, არა იდეოლოგიური მიხწრაფებებით ხდება, არამედ — პირადი ნაცნობობით. ამდენად, როგორც კი პარტიის ლიდერებს შორის თავს იჩენს უთანხმოება, პარტიები იხლიჩება, ახალი დაჯგუფებები ჩნდება. „საყმაწვილო სენის“ გამოძახილია ისიც, რომ შემარჯვენე და მემარცხენე ძალები ხშირად იდენტურ პოზიციას გამოხატავენ ისეთ პრინციპულ საკითხებზეც კი, როგორიცაა, მაგალითად, დამოკიდებულება კერძო საკუთრების მიმართ. ამგვარ ფაქტს ადგილი ჰქონდა ხელისუფლების გარეთ მიწის შესახებ კანონპროექტის განხილვისას.

პოლიტიკურ ძალებს შორის ცივილიზებული თანამშრომლობის ტრადიციის დეფიციტი ხშირად განაპირობებს კატეგორიულ ტონს, გამომნვევ განცხადებებს, რაც შეუძლებელს ხდის ნაყოფიერ თანამშრომლობას. პრობლემის გადაწყვეტა წარმოუდგენელია დაპირისპირებულ მხარეებს შორის გონივრული კომპრომისის გარეშე. ეს ეხება როგორც ურთიერთობებს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, ასევე, ნებისმიერი მასშტაბის პრობლემის გადაწყვეტას.

მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ პარტიული სისტემის სრულყოფის დინამიკა საქართველოში სულ უფრო შესამჩნევი ხდება.

პარლამენტის გარეთ მოქმედ პოლიტიკურ ორგანიზაციათა ერთი ნაწილი კრიტიკულადაა განწყობილი საქართველოს ხელისუფლების მიმართ. ამის ერთ-ერთ მიზეზად ასახელებენ ეროვნული ინტერესების უგულებელყოფას. ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტისას.

— სრულიად მიუღებელია აზრი იმის შესახებ, თითქოს დღევანდელი

გაგრძელება მე-2 გვ.

ინტერვიუ

ლილი ხახამი:
„ყველას საკუთარი გზა აქვს გასავლელი“

ინტერვიუ ქალბატონ ელჩთან ჩაწერილია ისრაელში ბოლო დღეებში მომხდარ ტერორისტულ აქტებამდე.

„კავკასიონის“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ქალბატონ ლილი ხახამს და ებრაელ ერს დატრიალებული ტრაგედიის გამო.

— ქალბატონო ელჩო, თქვენ ახლახან გადაეცით რწმუნების სიგელები ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტს. რა განწყობით მოემგზავრებოდით საქართველოში?

— თქვენთვის, ალბათ, ცნობილია, რომ საქართველოში ჩამოსვლამდე მე წარმოვადგენდი ჩემს ქვეყანას რუმინეთის რესპუბლიკაში. ჩემი საქმიანობის გამო ახლო ურთიერთობა მქონდა რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, რუმინელ დიპლომატებთან. ბევრი მათგანი მესაუბრებოდა საქართველოზე, როგორც მეტად თავისებურ, უნიკალურ ქვეყანაზე, მის ბუნებაზე, ხალხზე. ალბათ, ამ საუბრების შედეგი იყო ის, რომ კეთილგანწყობით მოვემგზავრებოდი თქვენს მშვენიერ ქვეყანაში. ნანახმა, რა თქმა უნდა, მოსმენილს აჯობა. აქ დამხვდა საოცრად თბილი, ტემპერამენტიანი, სტუმართმოყვარე ხალხი, რომელიც ესოდენ კეთილად არის განწყობილი ჩემი ერისა და ქვეყნისადმი.

გვინდა, ჩვენი პატარა საშობლო დიდი დემოკრატიის ქვეყნად ეაქციოთ. ამ გზაზე ჩვენი პარლამენტი პირველ ნაბიჯებს დგამს და ზოგიერთ პოლიტიკურ ძალებს მიაჩნია, რომ ამ მხრივ ისრაელი ჩვენთვის ეტალონი უნდა იყოს როგორც აქმედებითი-პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით.

— მე, რა თქმა უნდა, ნარმატებას გისურვებთ იმ რთულ და ეკლიან გზაზე, რომელსაც დემოკრატიისკენ მიპყავხართ. მიმაჩნია, რომ დემოკრატია და აღმშენებლობა, პროგრესი გარკვეულ ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან — რაც უფრო მაღალია მიღწევები დემოკრატიის, თავისუფლების გზაზე, მით მეტია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პროგრესი. მაგრამ თქვენი აზრი იმის შესახებ, რომ ისრაელი ეტალონი უნდა იყოს საქართველოსთვის, არც მაინცდამაინც სწორად მიმაჩნია, ვინაიდან თითოეულ ქვეყანას, ერს საკუთარი გზა აქვს გასავლელი სანუკვარი მიზნისკენ. მართალია, ბევრი რამ ისრაელისა და საქართველოს ისტორიაში თანხვდება ერთმანეთს, მაგრამ ეს სწორედ რომ დამთხვევაა. კერძოდ, გამუდმებული ბრძოლა ერის ფიზიკური არსებობისთვის, მტერთა სიმრავლე. რაც შეეხება სოციალურ-ეკონომიკურ მიზნებს, აქ, როგორც იტყვიან, სრული დამთხვევაა. თქვენც და ჩვენც გვინდა, რომ ვცხოვრობდეთ სოციალურად და მატერიალურად უზრუნველყოფილნი, რომ ახალგაზრდობა სწავლობდეს, შრომისუნარიანი ადამიანი მუშაობდეს, მოხუცებულს ნორმალური ცხოვრებისთვის ყველა პირობა პქონდეს.

ყოველივე ეს ერთმანეთთან გვაახლოებს.

— პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მარშან ოფიციალური ვიზიტით ისრაელში იმყოფებოდა. ორივე ქვეყნის პრესამ ეს ვიზიტი შეფასა, როგორც მეტად ნაყოფიერი. ამ დღეებში, ჩვენი პრეზიდენტის ბრძანებულებით, ძალაში შევიდა საქართველოსა და ისრაელის მთავრობებს შორის 1995 წლის 19 ივნისს დადებული შეთანხმებანი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ...

— პრეზიდენტ შევარდნაძის ვიზიტზე ისრაელში დღესაც ბევრს წერენ. მსოფლიოს ამ გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში, მართლაც, მეტად ნაყოფიერი იყო. გასული წლის ივნისში დადებულ იქნა მთელი რიგი შეთანხმებანი, კერძოდ, საპაერო ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, საფოსტო კავშირისა და ტელეკომუნიკაციების, ტექნიკური თანამშრომლობის, ტურიზმის, განათლების, მეცნიერების, კულტურის დარგში. ხელმონერილ იქნა, აგრეთვე, შეთანხმებანი ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და ნახალისების შესახებ.

ისრაელი და საქართველო აქტიურად **თანამშრომლობენ** სოფლის მეურნეობის, **ეკ**ონომიკისა **და** მრენველობის სხვადასხვა დარგში. ისრაელი, ამჟამად, ეხმარება **საქ**ართველოს ისეთი სპეციალობის **კადრ**ების მომზადებაში, როგორიცაა, კერძოდ, ინოვაციები და საერთაშორისო ბიზნესი სოფლის მეურნეობაში, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, მებაღეობა-მებოსტნეობის სისტემათა მართვა, მორწყვის მეთოდები, ტექნოლოგია, სასუქების შეტანა, მეურნეობის განვითარება — ეკონომიკა და მართვა და სხვა.

ქალბატონი ლილი ხახამი — ისრაელის სახელმწიფოს ელჩი საქართველოს რესპუბლიკაში.

დაიბადა ქ.სოფიაში (ბულგარეთი). 1939 წელს ხახამების ოჯახი ბავშვთან ერთად გადახახლდა ისრაელში. 1952 წელს ლილი ხახამმ სამსახური დაიწყო ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1958-1962 წლებში ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტოკოლის განყოფილების უფროსის მოადგილე იყო. წლების განმავლობაში მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური დირექტორის მოადგილედ, ისრაელის კულტურულ საქმეთა კონსულად ლოს-ანჯელესში (აშშ), ისრაელის სახელმწიფოს საგანგებო ბუკარესტში (რუმინეთი).

ფლობს ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ, რუმინულ, ბულგარულ ენებს. ქმავს ეკაიშვილი და ქალიშვილი.

ფო მოღვაწის ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში, მართლაც, მეტად ნაყოფიერი იყო. გასული წლის ივნისში დადებულ იქნა მთელი რიგი შეთანხმებანი, კერძოდ, საპაერო ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, საფოსტო კავშირისა და ტელეკომუნიკაციების, ტექნიკური თანამშრომლობის, ტურიზმის, განათლების, მეცნიერების, კულტურის დარგში. ხელმონერილ იქნა, აგრეთვე, შეთანხმებანი ინვესტიციების ორმხრივი დაცვისა და ნახალისების შესახებ.

ისრაელი და საქართველო აქტიურად თანამშრომლობენ სოფლის მეურნეობის, ეკონომიკისა და მრენველობის სხვადასხვა დარგში. ისრაელი, ამჟამად, ეხმარება საქართველოს ისეთი სპეციალობის კადრების მომზადებაში, როგორიცაა, კერძოდ, ინოვაციები და

უკვე ათეულობით ქართველმა სპეციალისტმა გაიარა სტაჟირება ისრაელში და დღეს იქ მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას თავის სამშობლოს ახმარს. ეფიქრობთ, რომ ასეთი კავშირურთიერთობანი ორმხრივ სასარგებლოა.

— ცნობილია, რომ ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქი — იერუსალიმი — სამი დიდი რელიგიის სამშობლო — წელს აღნიშნავს თავისი მარადიული არსებობის 3000 წლისთავს. ეფიქრობ, ეს არა მხოლოდ ისრაელის სახელმწიფოს ზეიმია...

— იერუსალიმი — „იერუშალაიმი“ — ასე გამოითქმის ივრითზე ყველა ებრაელის სანუკვარი ქალაქის სახელი; ქალაქისა, რომელსაც ფიცულობდნენ და სადაც ერთმანეთთან შეხვედრას ნატრობდა ებრაელთა არაერთი თაობა: „მომავალ წელს იერუშალაიმში შეეხვდებიოდეთ“... 3000-წლოვანი იერუშალაიმი, მეფე დავითის ქალაქი, დღეს, თითქოს, მეორედ დაბადებას ზეიმობს. ის ხომ აღირძინებული ქვეყნის — ერეც-ისრაელის — ერთიანი დედაქალაქია. იერუშალაიმი უნიკალურია არა მხოლოდ თავისი ისტორიით. თქვენ იცით, რომ ჩვენს დედაქალაქში იუდეველთა მრავალ სინაგოგასთან ერთად არის ქრისტიან-მართლმადიდებელთა და კათოლიკეთა ეკლესია-მონასტრები, მაჰმადიანთა ცნობილი მეჩეთები. ჩვენი ქვეყანა, იერუშალაიმის მერია ერთნაირი გულისყურით ზრუნავს თითოეული რელიგიის ისტორიულ ძეგლებზე. ეს ჩვენი ვალია.

თვით ზეცაც კი განუმეორებელია იერუშალაიმის თავზე, თითქოსდა, შესაძლებელია, ხელით შეეხო მას. ქალაქის საიუბილეო დღეები მაისის თვეში გაიმართება. მადლობელი ვართ ყველასი, ვინც ამ ზეიმს ჩვენთან ერთად აღნიშნავს...

— ქართველისთვის „ისრაელი“ და „ებრაელი“ ახლობელი ცნებებია. თქვენი სამშობლო ჩვენთვისაც წმინდა მიწაა. იერუსალიმის ჯვრის მონასტერში დაკრძალულია ჩვენი გენიოსი პოეტი შოთა რუსთაველი. იქვე, ადრეულ შუა საუკუნეებში მოღვაწეობდნენ ქართველი მწიგნობარი ბერები... ისრაელის შვილნი კი 26 საუკუნეა ჩვენს გვერდით ცხოვრობენ კეთილმეზობლურად, ურთიერთგაგებით...

— ჩვენც ასევითვე შეხედულების ვართ. ჩვენს ქვეყანაში კარგად იციან საქართველოდან ამოსულ ებრაელთაგან, რომ ჩვენს ერებს შორის ყოველთვის კეთილმოსურნეობის განწყობილება სუფევდა. დღევანდელი ისრაელის ცხოვრებაში „ქართველმა“ ებრაელებმა საგრძნობი წვლილი შეიტანეს ისრაელის კულტურისა და ნარმოების სფეროში. ეს კეთილი ურთიერთობანი, ადრეც მოგახსენეთ, გადაიზარდა ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობაში, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, კიდევ უფრო განვითარდება და ის სიკეთის მარცვლები, რაც ადრეულ შუა საუკუნეებში დათესეს იერუშალაიმის სხვადასხვა მონასტერში მოღვაწე ქართველებმა, აუცილებლად ასეთსავე ნაყოფს გამოიღებს.

აქედან გამომდინარე, მინდა, ვუსურვო ქართველ ხალხს, რომელიც დღეს გარდატეხის მძიმე პერიოდში იმყოფება, მალე გაეკვლოს მისი ისტორიის ეს რთული მონაკვეთი და მიეღწიოს ნათელი მიზნისთვის, რასაც პროგრესი და კეთილდღეობა პქვია. შალომ.

ესაუბრა

ალექსანდრე თარხნიშვილი

P.S. რედაქცია მადლობას უხდის საელჩოს თანამშრომელს მაკა ბურჯანაძეს დახმარებისთვის.

ტერორი

ისრაელი — ტრაგიკული სერიალი გრძელდება

პირველი გვერდიდან

ექსტრემისტულმა დაჯგუფება „ჰამასმა“ უკვე იკისრა პასუხისმგებლობა მომხდარზე და განაცხადა, რომ სამი თვის შენყვეტს ისრაელის წინააღმდეგ ტერორისტული აქტების მოწყობას. ექსტრემისტებმა ეს იმით ახსნეს, რომ სურთ „ჰამასის“ პოლიტიკურ ხელმძღვანელობასა და ებრაულ სახელმწიფოს შუის დასადებად მისცენ დრო. ამ გადაწყვეტილების შემხვედრ ნაბიჯად, „ჰამასი“ მისი წევრების დევნის შეწყვეტასა და პალესტინელი პატიმრების გათავისუფლებას მოითხოვს.

ისრაელში საყოველთაო გლოვა და დაკრძალვის ცერემონიალი ხალხმრავალ მანიფესტაციას დაემსგავსა. დალუპულთა შორის ორი პალესტინელია, 6 რუმინელი მუშა და ერთი ეთიოპელი ტურისტი. აფეთქებათა სერიის ასეთი სცენარით განვითარება უკვე ნერვიულ ატმოსფეროს ქმნის. ებრაელები მუდმივი საფრთხის მოლოდინში დაძაბულნი ელიან . ახალ მსხვერპლს. იერუსალიმი აფეთქებათა ეპიცენტრად იქცა. ხალხის თუნდაც ოდნავი დანყნარების მიზნით, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, გაზარდოს იერუსალიმში განლაგებულ ნესრიგის დამცველთა რაოდენობა. ამერიდან ავტობუსის გაჩერებებს დაიცავს 800 ჯარისკაცი და პოლიციელი. მოხდება პალესტინური და ებრაული მოსახლეობის დაშორიშორება ღაზის სექტორსა და მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროებზე. გაყოფილ მოსახლეობას შორის საკონტროლო პუნქტები აშენდება. ამ ღონისძიებებისთვის გათვალისწინებულია 100 მილიონი დოლარის გამოყოფა.

ისრაელის პრემიერმინისტრ შიმონ პერესის აზრით, ამჟამად შექმნილი ვითარება ასეთია: „ჰამასმა“ გამოუცხადა ბრძოლა ისრაელს, ჩვენც ამის შესაბამისად ვიმოქმედებთ“. მიუხედავად ორივე მხარის თითქოსდა გამოკვეთილი პოზიციებისა, მდგომარეობა მაინც ძნელად პროგნოზირებადია.



ებრაელი ჯარისკაცი გოდების კედელთან

P.S. გუშინ ისრაელის დედაქალაქ თელ-ავივში კვლავ აფეთქდა სამარშრუტო ავტობუსი. ამ ტერორისტული აქტის შედეგად რამდენიმე ადამიანი დაიღუპა, რამდენიმე — მოთავსებულია საავადმყოფოში. ბოლო ორი დღის მანძილზე, ეს უკვე მე-2 ტერორისტული აქტია. გუშინდელი ინციდენტის დეტალები ზუსტდება.

ახალი საზღვარგარეთი

რუსი თაღლითები ამერიკაში

გასულ კვირას აშშ გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლებმა დააკავეს ე.წ. „რუსული მაფიის“ სამი წევრი. მათ ბრალად ედებათ თაღლითობა და ფულის გამოძალვა. ამ მეთოდით მათ 24 რუსულ კომპანიას 4,5 მილიონი დოლარი „ააფეცვნეს“, აქედან 2 მილიონამდე — ჩერნობილის კატასტროფის მსხვერპლთა საქველმოქმედო ფონდს.

მოკლეს სალმან რადუევის მამა

რუსული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, გასულ კვირას, უცნობმა პირებმა, გუდერმესში მოკლეს ყიზლარსა და პერვომაისკოეში განხორციელებული ტერაქტების ხელმძღვანელის, სალმან რადუევის, მამა. ამ ინფორმაციას ჩეჩნეთის სამართალდამცავი ორგანოებიც ადასტურებენ, თუმცა არ გააჩნიათ დაწერილებითი ინფორმაცია აღნიშნული ფაქტის დეტალების თაობაზე.

საგანგებო მიმოხილვა

კოჭლი ცხვარი საბიუჯეტო ფარაში

ჯაზვეგის რაიონმა ახალგაზრდა გამგებლის, ვახტანგ ბურდულის თაოსნობით და საგადასახადო სამსახურის შუამავლობა თანდგომით, თითქმის სასწაულის გაკეთება შეძლო და პირველი კვარტლის ადგილობრივი და რესპუბლიკური ბიუჯეტის გეგმა ორ თვეში 510 პროცენტით შეასრულა.

ახალგორში ორიოდე თვის წინ დახშული რაიონის ხელმძღვანელის, ოღლე ოდიშელიას დამსახურად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ერთ-ერთ ძირითად საქმედ რაიონის საგადასახადო-სავალუტო სფეროში წესრიგის დამყარება დასახა და შეეფეთ თვალნათელი გახდა. აქ ბიუჯეტის ორი თვის გეგმა 128 პროცენტით შეასრულეს. ამ მაჩვენებელს ციფრობრივად შარშან საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხული მთელი წლის თანხაც კი ვერ გაუტოლდება.

მიუხედავად იმისა, რომ დუშეთის რაიონმა ბიუჯეტის ორი თვის გეგმა მხოლოდ 42,2 პროცენტით შეასრულა, აქ არსებული რეზერვების ამოქმედებით ყველა წინაპირობა არსებობს იმისა, რომ კვარტლის გეგმას რაიონი პირნათლად გაართმევს თავს.

სამიუჯეტო მარათონში აშკარად კოჭლი ცხვრის პოზიცია უკავია თიანეთის რაიონს, რომელმაც ორ თვეში ბიუჯეტში ჩასარიცხი თანხის მხოლოდ 14 პროცენტის მოგროვება შეძლო და თუ რაიონის ხელმძღვანელები და დარგის მუშაკები საქმის გამოსასწორებლად გადამჭრელ ზომებს დროულად არ მიიღებენ, მათ ისედაც მწირ ფინანსურ შესაძლებლობებს საფრთხე დაეჭვრება. ამის თაობაზე პრეზიდენტის ტრადიციულ რადიოინტერვიუში სპეციალურადაც მეუთეთა.

* * *

გაზაფხული კარს მოგვადგა. კარგი შეერნე დღეხადაგ მინდვრად უნდა იყოს გასული, ბელელში კი გადარჩეული და დაწმენდილი სათესლე მარცვალი უნდა ჰქონდეს ძიძარაგებული. მაგრამ, ისევე, როგორც თითქმის ყველა რეგიონის, მეცხოვა-თათნეთის მხარეში შემავალ რაიონებისაც, ამ მხრივ, პრობლემები გააჩნიათ. ჭირს საწვავი, ჭირს მარაგ-ნაწილები, თიანეთში 3000 ჰექტრიდან ჯერ მხოლოდ 150 ჰექტარი მიწაა ძიხნული, თუმცა, აქვე ისიც უნდა თქვას, რომ მოიანი მხარის ამ რაიონში ბევრგან ჯერ ისევ თოვლი დევს. სათესლე მარცვალი კი ყველა რაიონში დეფიციტს წარმოადგენს. დუშეთის რაიონმა დიდი ძალისხმევისა და ძიძჭირნეობის ფასად 150 ტონა მინერალური სასუქი შეიტანა, რაც აქაურ მიწას 7-8 წელია, ალარ უნახავს, მაგრამ სათესლედ საჭირო 800 ტონა ხორბლისა და 600-600 ტონა ქერისა და შვრიის შოვნა, ჯერჯერობით, ისევ პრობლემად რჩება. ხოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო რაიონებს სათესლე მარცვლეულით, საწვავ-საცხები მასალებითა და მარაგნაწილებით ვერარ დაეხმარება, ბანკის ვალებში ისედაც ღრმად ჩაფლულ საზოგადოებრივ მეურნეობებს ახალი კრედიტის აღება ალარ ძალუძთ. ამიტომ, რაიონის ხელმძღვანელები მიწის იჯარით გაცემაში ხედავენ გამოსავალს, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ძალებითი გამოსავალია. მიწას პატრონი სჭირდება. იგი ყოველ 6 თვეში ხელიდან ხელში არ უნდა გადადიოდეს.

ანზორ სულიაური

საქინფორმის წარმომადგენელი
მცხეთა-მთიანეთის რეგიონში

მსოფლიო

არჩევნები—არჩევნები

რეალურ პრეტენდენტთა წრე იკუმშება

აშშ რესპუბლიკელთა მორიგი პრაიმარიზი შტატ ჯორჯიაში ჩატარდება. მის წინ წამძღვარებულ დებატებში მონაწილეობა მხოლოდ სამმა კანდიდატმა: ლემარ ალექსანდერმა, სტივ ფორბსმა და პატრიკ ბიუკენენმა მიიღო. სენატორმა ბობ დოლმა განაცხადა, რომ მისი წინასაარჩევნო კამპანიის განრიგით გათვალისწინებული ღონისძიებების გამო არ ჩაერთვებოდა ამ ტელედებატებში. რაც შეეხება რესპუბლიკელთა კიდევ ერთ კანდიდატს, — ალენ კიისს, იგი დებატებიდან გარიცხეს. ამის გამო მან პროტესტი განაცხადა და დაკავებულ იქნა პოლიციის მიერ. თუმცა, მალევე გაათავისუფლეს. ეს ყველაფერი დებატებამდე რამდენიმე წუთით ადრე მოხდა.

ბიუკენენმა, ალექსანდერმა და ფორბსმა თავიანთი აზრი გამოთქვეს მცირე ბიზნესის, საგადასახადო სისტემის და რიგი სხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური საკითხების ირგვლივ.

დღეისთვის ბიუკენენი კვლავ რჩება დოლის ძირითად მონინააღმდეგედ. ფორბსიც და ალექსანდერიც მაქსიმალურად ეცადნენ მის დაჩრდილვას. მათ ბრძოლას საკმაოდ მნვავე და კრიტიკული ხასიათი პქონდა, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ დოული, ჯერჯერობით, ერთპიროვნული ლიდერია, ხოლო მეორე ადგილი არცთუ იხე იოლი მოსაპოვებელია.

ესპანეთში ხელისუფლება შეიცვალა

ესპანეთის 3 მარტის საპარლამენტო არჩევნები იყო ფრანკიზმის დამხობის შემდეგ რიგით მეშვიდე დემოკრატიული და ზედიზედ მესამე რიგგარეშე არჩევნები. მმართველი მუშათა სოციალისტური პარტიის (მსპ) პოპულარობა ხელისუფლებაში მათი მოსვლის შემდეგ (1982 წლის ოქტომბერი) თანადათან ეცემოდა. 13 წლის წინ მსპ-მ მოიპოვა ამომრჩეველთა რეკორდული მხარდაჭერა — ხმების თითქმის 50 პროცერტი — და შესაბამისად, 202 ადგილი ქვეყნის პარლამენტში — კორტესებში. შემდეგ უს ციფრები სულ უფრო და უფრო მცირდებოდა: 1986 წლის არჩევნების შემდეგ მათ 184 მანდატი მოიპოვეს, თუმცა, შეინარჩუნეს აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტში (ეს არის 176 ადგილი საერთო — 350 — სადეპუტატო რიცხვიდან). ეს უპირატესობა მათ 1989 წელს დაკარგეს, როდესაც არჩევნების შემდეგ 175 მანდატი მიიღეს, ე.ი. „აბსოლუტური მმართველობისთვის“ სულ ერთი ადგილი დაკლდათ. ბოლო, 1993 წლის არჩევნების შემდეგ კი, ესპანელი მემარცხენეები მხოლოდ 159 ადგილით დაკმაყოფილდნენ.

„ტრიუმფატორი“— ხოსე მარია ასნარი

მათი მთავარი კონკურენტი სახალხო პარტია კი პირიქით, 1989 წლიდან სულ უფრო ზრდიდა ტემპს. მათ ამ წელს, ისევე როგორც 1982 წლის არჩევნებში, კორტესებში 107 ადგილი მიიღეს, მომდევნო არჩევნებში ისინი უკვე 141 საკვარძელს დაეპატრონენ, ხოლო 3 მარტის არჩევნების წინ იმედი პქონდათ, რომ პარლამენტში, სულ ცოტა, 160-170 ადგილს მიიღებდნენ.

დამარცხებული ფელიპე გონსალესი

და მართლაც, სოციალისტთა 13-წლიანი მმართველობა დასრულდა და ესპანეთის სახალხო პარტიის ლიდერის, ხოსე მარია ასნარის მხარდამჭერნი დედაქალაქის ქუჩებში გამარჯვებას ზეიმობენ. როგორც ასნარი ამბობს, ესპანეთის პოლიტიკაში ახალი ეპოქა იწყება. მისმა პარტიამ პარლამენტში 156 ადგილი მოიპოვა, სოციალისტებს ამერიდან 141 ადგილი ექნებათ, თანხმობისა და კავშირის პარტია 21 ადგილს დაიკავებს, გაერთიანებული მემარცხენეები — 16, დანარჩენ პარტიებს კი დარჩათ სულ 16 ადგილი.

მიუხედავად ბრწყინვალე გამარჯვებისა, ხოსე მარია სანარს პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობა არ გააჩნია და ამგვარად იგი არჩევანის წინაშე დგას: პირველი: შიმართოს კოალიციურ მმართველობას ანუ მოიპოვოს ერთი ან ორი პატარა პარტიის მხარდაჭერა, რათა მათი საშუალებით შექმნას უმრავლესობა, ან მეორე: სცადოს „უმცირესობის ნახევრადმართვა“. უფრო რეალურია, რომ იგი პატარა პარტიების მხარდაჭერის მოპოვებას ეცდება და უმცირესობასთან ერთად გაინაწილებს (ნახევრადმართვის პრინციპით) მმართველობას. მაგრამ, მიმომხილველთა აზრით, ეს არცთუ იოლი იქნება.

„წარმავალი“ პრემიერმინისტრი ფელიპე გონსალესი კი აცხადებს, რომ მისი პარტია ჩადგება ულმობელი, მაგრამ ობიექტური ოპოზიციის რიგებში.

თურქეთი შეთანხმდნენ

თურქეთში პარტიების — „მამული“ და „სწორი გზა“ — ლიდერებმა მესუთ ილმაზმა და თანსუ ჩილერმა ხელი მოაწერეს ოქმს ქვეყნის ახალი მთავრობის ფორმირების შესახებ. ამ დოკუმენტის თანახმად, მინისტრთა კაბინეტი პირველად ჩამოყალიბდება გარდამავალი მონაცვლეობის, როტაციის პრინციპით. მიმდინარე წელს პრემიერმინისტრი იქნება მესუთ ილმაზი. მომავალ ორ წელიწადს მინისტრთა კაბინეტს უხელმძღვანელებს თანსუ ჩილერი, 1999 წლიდან კი ძალაუფლება კვლავ „მამულის“ ლიდერის ხელში გადავა.

მეიჯორი ამშვიდებს ჰონკონგელებს

1997 წლისთვის ჰონკონგი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შემადგენლობაში გადავა, — განაცხადა გუშინ, ჰონკონგში ყოფნისას, ინგლისის პრემიერმინისტრმა ჯონ მეიჯორმა. მანვე აღნიშნა, რომ ჰონკონგის მოქალაქეებს უნარჩუნდებათ ინგლისის ტერიტორიაზე უვიზოდ გადაადგილების უფლება. მეიჯორმა დაამშვიდა ადგილობრივი მცხოვრებნი და მისცა მათ სტაბილიზაციისა და უსაფრთხოების გარანტია. იგი შეხვდა, აგრეთვე, კოლონიის გავლენიანი საქმიანი წრეების წარმომადგენლებს. როგორც მეიჯორმა აღნიშნა, კოლონიის ჩინეთის შემადგენლობაში გადასვლის შემდეგ, ბიზნესმენებს არანაირი წინააღმდეგობები არ შეექმნება

ინტერვიუ

რაციონალიზმი სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება

პირველი გვერდიდან

ხელისუფლების პოზიცია და ეროვნული ინტერესები სცილდება ერთმანეთს, პირიქით, ბოლო წლებში ხელისუფლების ძალისხმევა მიმართულია სწორედ ძლიერი ქართული სახელმწიფოს, ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღორძინებისკენ. გზა, რომელსაც დღეს ჩვენ ვადგავართ, მსოფლიოს ყველაზე განვითარებულმა და დანინაურებულმა ქვეყნებმა გაიარეს. ეს არის თავისუფალი ეკონომიკის, მმართველობის დემოკრატიული სისტემის ფორმირების, სამართლებრივი საქოალაქო სახელმწიფოს მშენებლობის გზა.

ეროვნული ინტერესების ცნება არა მხოლოდ იდეალისტურ წარმოდგენებს გულისხმობს. იგი უნდა პასუხობდეს ქვეყნის ინტერესებს კონკრეტულ, რეალურ ვითარებაში. იქ, სადაც მთავრდება რაციონალიზმი, არც სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებია გათვალისწინებული, ვერც ეროვნული მისწრაფებები რეალიზდება.

ის, რაც ბოლო წლებში საქართველოს გადახდა თავს, სწორედ ეროვნული ინტერესების უგულებელყოფამ განაპირობა. პოპულისტურმა ლოზუნგებმა მოსახლეობის დიდი ნაწილი დაიბნია, რაც კარგად გამოიყენეს სხვადასხვა ჯგუფის ავანტიურისტებმა. საბედნიეროდ, საქართველო კიდევ უფრო დიდი მასშტაბის კატაკლიზმებს გადაურჩა.

ხშირად, როცა ხელისუფლების პოზიციას არ ემთხვევა ცალკეული პიროვნებათა თუ პოლიტიკური ჯგუფების ინტერესები, ისინი შიმართავენ რადიკალურ ზომებს, ეს უკვე ჩვეულებრივ ამბად იქცა, თქვენ რა გამოსავალს ხედავთ ამგვარი ვითარებიდან?

— ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ საქართველოში ამოქმედდა ახალი, დემოკრატიულ ქვეყნებში დამკვიდრებული მმართველობის ინსტიტუტები, გვყავს სრულფასოვანი საკანონმდებლო ხელისუფლება — პარლამენტი და მისგან გამიჯნული აღმასრულებელი ხელისუფლება. ეს საშუალებას იძლევა, ყველა მნიშვნელოვანი საკითხი შესაბამის სამინისტროებში, საპარლამენტო კომიტეტებში, ფრაქციებში პროფესიონალთა შორის კამათისა და აზრთა შეჯერების საფუძველზე გადაწყდეს. ამ პროცესში უცხოელი ექსპერტებიც არიან ჩართულნი. ყოველი გადაწყვეტილება, როგორც იტყვიან, ასჯერ არის ანონილი და გაზომილი, საბოლოო სიტყვა კი პარლამენტს ეკუთვნის. კანონთა მიღების უფრო დემოკრატიულ და ცივილიზებულ ფორმას ჯერ არ იცნობს მსოფლიო პრაქტიკა. ამიტომ, ძნელია გაუგო იმ ადამიანებს, რომლებიც პრობლემის გადაწყვეტას ძველი, დრომოჭმული მეთოდებით ცდილობენ.

ბოლო წლებში იმგვარ ჰკურიოზებამდეც მივედით, რომ ზაფხულის დროზე საათის ისრის გადაწევის საკითხთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება წინა პარლამენტს შიშშილობის აქციის „აკომპანიმენტით“ მოუხდა. ყველანი ადამიანები ვართ და ელემენტარული თანაგრძნობის უნარი მაინც გვაქვს, მაგრამ, ყოველად დაუშვებელია, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემები ემოციების საფუძველზე წყდებოდეს. ხელისუფლება ყოველი გადაწყვეტილების მიღებისას, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივ აზრს უნდა ითვალისწინებდეს და არა ცალკეული პიროვნებისა თუ ორგანიზაციის პოზიციას.

— რას იტყოდით საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ, რამდენად მნიშვნელოვანია მათი როლი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის პროცესში?

— საქართველოში საზოგადოებრივ ორგანიზაციებს პროფესიული და ინტელექტუალური პოტენციალის ულევი მარაგი აქვთ. ამას უცხოელი პარტნიორებიც გრძნობენ და სულ უფრო აქტიურად მოდიან კონტაქტებზე. ყოველწლიურად მატულობს სხვადასხვა სფეროს განვითარებისთვის გამოყოფილი გრანტების რაოდენობა.

ეფიქრობ, პერსპექტივაში, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა გადაჭრან ბევრი პრობლემა, რომლებიც დღეს ასე მწვავედ დგას საქართველოს წინაშე. თუმცა, ამ პროცესს შესაბამისი სამართლებრივი მხარდაჭერა სჭირდება. ჩვენი კანონი „მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების შესახებ“ მნიშვნელოვან გადამუშავებას მოითხოვს, რაზეც ამჟამად ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს.

ესაუბრა

ბელა ორაბველიძე

ოფიციალური ქრონიკა

ქართული სახლი ატლანტაში

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივანი ბატონი ემზარ ზენაიშვილი და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე, ბატონი ჯანო ბაგრატიონი 10-დღიანი ოფიციალური ვიზიტით ატლანტაში (აშშ) იმყოფებოდნენ. ვიზიტის მიზანი იყო ოლიმპიადის საორგანიზაციო საკითხების მოგვარება.

ადრე ამ საქმეს სსრკ-ს სპორტკომიტეტი აკეთებდა. საქართველოს დელეგაცია საერთო გუნდთან ერთად უპრობლემოდ მოგზაურობდა. ახლა კი, როცა ოლიმპიადაში დამოუკიდებლად ვმონაწილეობთ, ყველაფერი ჩვენს კისერზეა. გაირკვა ყველა ნიუანსი აკრედიტაციის, ცხოვრების პირობების, საწვრთნელი ბაზების, კვების, სამედიცინო მომსახურების და სხვა საკითხების შესახებ.

ჩვენ ოლიმპიურ ატაშესთან კელვინ პილთან ერთად დელეგაცია აშშ-ს კონგრესის სპიკერს ნიუტ გინგრიჩს შეხვდა. 10-წუთიანმა აუდიენციამ თბილ ვითარებაში ჩაიარა. ქართველებმა ამერიკელი სპიკერი სუვენირებით დააჯილდოვეს. მან კი საქართველოში მოკითხვა დაბარა.

ვაშინგტონში, ჩვენს საელჩოში შეხვედრა შედგა. ელჩი ბატონი თედო ჯაფარიძე ისევე, როგორც მთელი საელჩო, აქტიურად მონაწილეობს საოლიმპიადო სამზადისში.

საქართველოს დელეგაციას კელვინ პილმა და მისმა დამხმარემ ნორმან ჯასინგერმა სასიამოვნო სიურპრიზი მოუმზადეს. ადრე, უფულობის გამო, არ ხერხდებოდა ატლანტაში ქართული სახლის გახსნა. ამჯერად კი, ამ ორი ადამიანის მცდელობით, საქართველოს ატლანტაში, ოლიმპიური პარკის გვერდით, უსასყიდლოდ გადაეცა შენობა. მალე აშშ-ში გაემგზავრებიან სპეციალისტები ამ შენობის ინტერიერის მოსანყობად. ოლიმპიადის დღეებში საქართველოს დელეგაცია აქ სტუმრებს მიიღებს, სპორტსმენებს დაჯილდოებს, მოაწყობს გამოფენა-გაყიდვას, სტუმრებს საქართველოს სპორტული მატიანის ამსახველ რეპროდუქციებსა და სპეციალურად მომზადებულ ვიდეოკლიპებს ანახებს. მოკლედ, საქართველოს წარმოსადგენად ყველაფერი გაკეთდება.

ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის შეთანხმებითი, საქართველოს ოლიმპიური ნაკრების ერთი ნაწილი ატლანტაში 12 იელისს გაემგზავრება რუსეთის ოლიმპიურ ნაკრებთან ერთად (შეღავათიან ფასებში). მეორე ნაწილი აშშ-ში 18 იელისს ჩავა. იქ მათ ბატონი ჯანო ბაგრატიონი დახვდება, რომელიც ყველაფერს წინასწარ მოამზადებს. მოკლედ, ყველაფერი მოგვარებულია. მთავარია, სპორტსმენებმა კარგად იასპარეზონ.

საფეხბურთო ევროპა

იტალია

შაბათ-კვირას გაიმართა იტალიის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები. გათამაშების ლიდერმა „მილანმა" დიდი ანგარიშით — 4:0 დაამარცხა „ვიჩენცა" და თავის ძირითად კონკურენტს, „ფიორენტინას" შვიდი ქულით უსწრებს. ფლორენციელებმა ფრედ — 2:2 დაასრულეს შეხვედრა „სამპდორიასთან". „კალიარიმ" დაამარცხა „ბარი" — 4:2, ხოლო „პარმასა" და „რომას" მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. „იუვენტუსმა" კი „პადოვა" იმსხვერპლა — 5:0. დღეისთვის ლიდერთა მდგომარეობა ასეთია:

	თ.	ქ.
მილანი	24	53
ფიორენტინა	24	46
პარმა	24	43
იუვენტუსი	24	42

ინგლისი

წინა კვირაში გაიმართა ინგლისის თასის გათამაშების მერვედფინალური შეხვედრები. ლივერპულმა საკუთარ მინდორზე დაამარცხა ჩარლტონი — 2:1 და მეოთხედფინალში გავიდა. ამ თამაშში მასპინძელთაგან თავი გამოიჩინეს: ფაულერმა და კოლიმორმა. ნოტინგემი — ტოტენჰემი 2:2. საუთჰემპტონი — სუინდონი 2:0, უიმბლდონი — პადერსფილდი 3:1, ჩელსი — გრიმსბი 4:1. მეოთხედფინალში ერთმანეთს შეხვდებიან, 9 მარტს: ჩელსი — უიმბლდონი, ასტონ ვილა და ნოტინგემი — ტოტენჰემს შორის გამარჯვებული. 10 მარტს: ლიდსი — ლივერპული, მანჩესტერ იუნაიტედი — საუთჰემპტონი.

* * *

ინგლისის „ლივერპულის" და უელსის ნაკრების ვეტერანი, 34 წლის იან რაში, კლუბიდან ნასვლას აპირებს. ფორვარდმა თხუთმეტი წლის განმავლობაში, ოფიციალურ მატჩებში 345 გოლი გაიტანა. „გული მწყდება, რომ ლივერპულს ვტოვებ, მაგრამ, ვფიქრობ, მოვიდა დრო ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად", — განაცხადა რაშმა. უკანასკნელ პერიოდში, მუხლის ოპერაციის შემდეგ, იან რაში ველარ ხვდებოდა „ლივერპულის" ძირითად შემადგენლობაში. ეტყობა, ვეტერანმა ვერ გაუძლო ახალგაზრდა ფორვარდებთან კონკურენციას და სეზონის ბოლოს ლივერპულს დაემშვიდობება. იარ რაშის შეძენის სურვილი ათზე მეტმა კლუბმა გამოთქვა. მათ შორის არის მანჩესტერ-სიტიც.

ჰოლანდია

პოლანდიის თასის გათამაშების მეოთხედფინალში სენსაციები არ მომხდარა. ეს ბარიერი ყველა ფავორიტმა წარმატებით გადალახა: „მაასტრიხტი" — „ფეიენოორდი" 1:2, „ტვენტე" — „ეინდჰოვენი" 1:3, „სპარტა" — „კამბური" 1:0, „ვენლო" — „როდა" 1:2.

კვირის ბოლოს 23-ე ტურის ორი გამოტოვებული მატჩი გაიმართა: „იგლზი" — ნეიმეგენი" 2:2, „დეტინჰემი" — „პერენვენი" 2:2. დღისთვის 21 თამაშიდან 56 ქულით სატურნირო ცხრილს „აიაქსი" ლიდერობს. „ეინდჰოვენს" 22 თამაშიდან 54 ქულა აქვს.

გერმანია

გერმანიის თასის ნახევარფინალურ მატჩში „კარლსრუემ" საკუთარ მინდორზე დიუსელდორფის „ფორტუნა" დაამარცხა — 2:0 და ფინალში გავიდა. ფინალურ მატჩში „კარლსრუეს" „კაიზერსლაუტერნი" შეხვდება.

ჩოგბურთი

მილანში გრძელდება დიდი საერთაშორისო ტურნირი სპრიზო ფონდით — 814 250 ამერიკული დოლარი. მორიგ ეტაპზე რუსმა ევგენი კაფელნიკოვმა დაამარცხა იტალიელი სტეფანო პესკოსოლიდო — 2:6, 6:3, 6:2. ხოლო გერმანელი მიხაელ შტიხი არ გამოვიდა ფრანგ გი ფორჯესთან სათამაშოდ. იგი მუხლის ამსწინანდელმა ტრავმამ შეაწუხა. მარკ როსეტი (შვეიცარია) — არნო ბეჩი (სლოვენეთი) 3:6, 6:3, 6:0. დანიელ ვაცეკი (ჩეხეთი) — რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) 6:4, 6:4.

გთავაზობთ შაბათს გამართულ შეხვედრათა შედეგებს:

გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) — ადრიან ვონინა (რუმინეთი) 7:6, 6:1.

მარკ როსეტი (შვეიცარია) — რენკო ფურლანი (იტალია) 6:4, 3:6, 6:3.

გი ფორჯე (საფრანგეთი) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 6:1, 3:6, 7:5.

* * *

ფილადელფიაში (აშშ) დასრულდა უმაღლესი კატეგორიის დიდი საერთაშორისო ტურნირი ჩოგბურთში, რომლის საპრიზო ფონდი 714 250 ამერიკული დოლარი იყო. ასპარეზობა დახურულ დარბაზში მიმდინარეობდა. მან ოცდათორმეტ ჩოგბურთელს მოუყარა თავი. ტურნირზე ამერიკული ფინალი აღინიშნა. ჭიმ კურიემ, რომელმაც შესანიშნავად ჩაატარა მთელი ტურნირი, ორ სეტში — 6:4, 6:3 დაამარცხა კრის ვუდრაფი და პირველობა მოიპოვა.

ამერიკის ამბები

NBA

რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში აღსანიშნავია ცენტრალური დივიზიონის აუტსაიდერის, ტორონტოს გამარჯვება კლივლენდთან შეხვედრაში — 100:89. შაქილ ონილის ორლანდომ დაძაბულ ბრძოლაში სძლია მაიამის — 116:112. ლიტველი შარუნას მარჩიულიონისი კვლავ გამოჩნდა თავისი გუნდის — საკრამენტოს შემადგენლობაში და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა კლუბის წარმატებაში. საკრამენტომ დამარცხა ნიუ-იორკი — 90:85. სპონსორის ოცდაექვსმა ქულამ ვერ უშველა პორტლენდს, რომელმაც დათმო ატლანტასთან მატჩი — 88:90. გიეცანით კვირას გამართულ შეხვედრათა შედეგებს:

ფენიქსი-დალასი 121:114
ტორონტო-კლივლენდი 100:89
შარლოტა-ინდიანა 100:103
ჰიუსტონი-ლოს-ანჯელესი 111:107
მაიამი-მინესოტა 87:89
გოლდენ სტეიტი-ნიუ-იორკი 94:109
ვაშინგტონი-საკრამენტო 108:99

* * *



მესამე წელია, რაც სიცოცხლეს გამოასალმეს №BA-ს ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელის, მაიკლ ჯორდანის მამა — ჯეიმს ჯორდანი. მკვლელი პოლიციამ სამ კვირაში დააკავა, მაგრამ განაჩენის გამოტანა დღემდე ვერ მოხერხდა. 29 თებერვალს ორდღიანი სხდომის შემდეგ, ქალაქ ლამბერტონის სასამართლომ (კაროლინის შტატი) მკვლელობაში ეჭვმიტანილი გრინი დამნაშავედ სცნო. რა სახის სასჯელს მიიღებს მკვლელი, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, არის ვერსია, რომ გრინს სიკვდილით დასჯიან.

(სენტ ლუისის სამი მოთამაშე მიიღო). სენტ ლუისმა „ედმონტონ ოილერზს" უმასპინძლა და დაამარცხა იგი ანგარ[illegible] — 4:3. წლევანდელი სეზონის ერთპიროვნულ[illegible]ლიდერმა, დეტროიტმა კვლავ მოიგო. ამჯერად მან საკუთარ მოედანზე გაანადგურა ჩიკაგო — 6:2. დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა:

ვინიპეგი-ნიუ-იორკი (აილენდერსი) 7:6
ფილადელფია-ვაშინგტონი 0:3
ვანკუვერი-ბუფალო 3:0
კალგარი-სან-ხოსე 5:1
ტამპა-ბეი-ანაჰაიმი 2:2
ტორონტო-კოლორადო 0:4.

NHL

ლეგენდარული უეინ გრეტკის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი, როგორც იქნა, დასრულდა. ჰოკეისტი „ლოს-ანჯელეს კინგსიდან" „სენტ ლუის ბლუზში" გადავიდა და თავისი ახალი კლუბის შემადგენლობაში მეორე თამაში ჩაატარა. (შეგახსენებთ, რომ გარიგების თანახმად, „კინგსმა"

სპანდალი

მაფიოზების ძმაკაცი ფეხბურთელი

მანჩიმის სასამართლომ გერმანიის ნაკრების ყოფილ წევრს, „შტუტგარტისა" და „ინტრახტს" მცველს მაურიციო გაუდინიოს 2 წლიან პატიმრობა და 150 ათასი მარკა ჯარიმის გადახდა მოუსაჯა.

მაურიციო წარმოშობით იტალიელია, ნეაპოლელი. მისი ოჯახი მანჩიმის „ბნელ" უბანში ცხოვრობს, რომელიც ორგანიზებული დანაშაულობის ცენტრად არის მიჩნეული. მაურიციოს კარგა ხანია კავშირი ჰქონია მაფიასთან და მაფიის შეფებთან ნაცნობობითაც ამაყობდა. იგი დანაშაულისგან თავს იკავებდა, მაგრამ სხვადასხვა პრობლემის მოსაგვარებლად (თუ ვინმეს რამეს მოპარავდნენ) თხოვნითაც კი მიმართავდნენ. მოკლედ, მაურიციო „ძველი ბიჭის" პუტაციით სარგებლობდა.

პოლიციამ დაადგინა მისი დანაშაულებრივი კავშირი მანქანების გამტაცებელ ბანდასთან, რომელსაც საკუთარ მანქანებს აპარინებდა და თავად დაზღვევებს იღებდა. გარდა ამისა, მაურიციო ბანდას თავისი თანაგუნდელების შტერუნციის და ზაქერის მახვანების მოპარვაშიც ეხმარებოდა (1383 წელს). მისი წილი 8 ათასი მარკა იყო. ადვოკატების მცდელობის მიუხედავად, გაუდინიო სასჯელს ვერ გადაურჩა ისევე, როგორც სხვა დანაშავე ფეხბურთელები:

ვილმ კროუზე („შალკე-04"), რომელიც ბანკებს ძარცვავდა.

ჯონი ჰაი („დუისბურგი"), რომელიც მანქანებს იპარავდა.

რუდი ბრუნენმაიერი („ვიუნხენი-1860"), რომელმაც ბენზინის გასაპართან სადგური გაჭრა.

კეს ბრეგანი („დუისბურგი"), რომელიც კოკაინით ვაჭრობდა და სხვა.

სამთო-სათხილამურო სპორტი

მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, სამთო-მოთხილამურეებმა ესპანეთიდან ნორვეგიაში გადაინაცვლეს, სადაც მსოფლიო თასის გათამაშება

მიმდინარეობს. სუპერ გიგანტურ სლალომში წარმატებით იასპარეზა იტალიელმა მოთხილამურემ, რუნგალდიერმა, რომელმაც ყველაზე სწრაფად და აუღელვებლად დაფარა დისტანცია და მსოფლიოს თასის მფლობელი გახდა. რუნგალდიერის შედეგია — 1.34,20. მეორე ადგილი მოიპოვა კერდალმა (ნორვეგია) — 1.34,58, ხოლო ბრინჭაოს მედალი ავსტრიელ ნოუსს გადაეცა. მისი შედეგია — 1.35,00.

კონტაქტები

საქართველოს ტურიზმის განვითარების ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ეტაპი დგება

რთული და ძაძაბული 90-იანი წლები მეტად [illegible]ად აისახა საქართველოში ტურიზმის განვითარებაზე. სსრკ-ს კოლაფსის შემდგომმა კატაკლიზმებმა საქართველოს და, საერთოდ, კავკასიას ცუდი რეპუტაცია დაუმკვიდრა. შედეგად, ამ ბოლო წლებში, საქართველოში ტურიზმი, პრაქტიკულად, არ არსებობდა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ 1995 წელს ჩამოსულ სტუმართა შორის ტურისტად შეიძლება მხოლოდ 1000-მდე კაცი მივიჩნიოთ. 1989 წელს კი საქართველომ 1 800 000 (აქედან — 280 000 უცხოელ) ტურისტს უმასპინძლა.

ალბათ, არ არის საჭირო იმის ახსნა, რომ როდესაც დედაქალაქის უდიდესი და საუკეთესო სასტუმროები ლტოლვილებით არის სავსე, როდესაც ქვეყანაში ენერგეტიკული კრიზისია, ჩამოთვლას არ გავაგრძელებთ — ძნელია ტურიზმის განვითარების გზების დასახვა.

საბედნიეროდ, პოზიტიური ცვლილებები ყველა დარგში დაიწყო. ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების პირველი დადებითი შედეგები სახეზეა. თანდათან იზრდება ინტერესი საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, მიმართ. უნდა აღინიშნოს ის დიდი აღიარება, რაც საქართველოს ე.წ. „ბრეშუმის გზის" პროექტში ჩართვით გამოიხატა. ეს პროექტი, რომლის თაოსნიც მსოფლიოს ტურისტული ორგანიზაცია, თავის მარკეტინგული ქოლგის, „აბრეშუმის გზის" სახელის გარშემო აერთიანებს უდიდესი კულტურისა და წარსულის მქონე მრავალ ქვეყანას და ამ ქვეყნებში ტურიზმის განვითარებას და ქვეყნების ტურისტულ ინტეგრაციასა და ურთიერთთანამშრომლობას ემსახურება.

საქართველოში ტურიზმის აღდგენას და ქვეყნის ტურისტული პოტენციალის სათანადოდ გამოყენებას დიდი დრო დასჭირდება, მაგრამ საქართველოს ტურიზმის ლიდერებს მიაჩნიათ, რომ დადგა დრო, როდესაც უნდა დაიწყოს საქართველოს წარდგინება მსოფლიო ტურისტულ ბაზრზე.

ასე რომ, საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, წელს პირველად წარდგება მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ტურისტულ ბაზრობაზე — ITB 96, BERLIN. 9-13 MARZ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ეს ბაზრობა, პირველ რიგში, გერმანიის და ევროპის ქვეყნების ტურისტულ კომპანიებთან, საგენტოებთან, ჟურნალისტებთან კავშირების და საქმიანი ურთიერთობების გაბმის საუკეთესო საშუალებაა. გერმანია ტრადიციულად განიხილებოდა და დღესაც განიხილება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პარტნიორად. ამას ბევრი ფაქტორი განაპირობებს: გერმანელი ხალხის ტრადიციული მეგობრობა საქართველოსთან; მათი დიდი ინტერესი შემეცნებითი, კულტურული და სათავგადასავლო ტურიზმისადმი (ეს კი საქართველოს ტურიზმის განვითარების პროიორიტეტული მიმართულებებია); დაბოლოს, ის საპრიზო ადგილი, რომელიც გერმანელებს მსოფლიოს ე.წ. „მოგზაურ" ხალხთა შორის უკავიათ.

ბაზრობაზე საქართველო შემდეგი კომპანიებით იქნება წარდგენილი: ავიაკომპანია AIR GEORGIA, კომპანია CAUCASIAN TRAVEL LTD., კომპანია URKA REISEN, GEORGIAN GUIDE SERVICE, HELI SKIGUDAURI, კონცერნი GEORGIAN RESORTS („საქურორტი"), ავიაკომპანია ORBI.

წარდგენილია, ასევე, საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტი. დაგეგმილია ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარის ბატონ კონსტანტინე სალიასა და საქართველოს პარლამენტის ტურიზმის ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ბატონ ვლადიმერ ქარსელაძის ვიზიტი ბერლინში.

გამოფენაზე ქართული დელეგაციის ხელმძღვანელია ბატონი საბა კოკნაძე, ხოლო საქართველოს ამ ბაზრობაზე მონაწილეობის ინიციატორი და კოორდინატორია კომპანია CAUCASIAN TRAVEL LTD. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მონაწილეობა ტურისტულ ბაზრობაზე მთლიანად კერძო სტრუქტურების მიერ არ[illegible]ფინანსებული, რაშიც განსაკუთრებული წილი ქართულ ავიაკომპანიებს აქვთ.

ქართული საზოგადოება იმედის თვალით უყურებს თავისი ქვეყნის მომავალს, რომელშიც ტურიზმს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

იმედია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მიერ სწორად გადადგმული პირველი ნაბიჯები მომავალი წარმატების საწინდარი გახდება.

ია თაბაბარი

იქ, უცხოეთში

ჰოლივუდის შხამიანი ისრები

სოფი ლორენი

ვარსკვლავებიც ადამიანები არიან, ამიტომაც არის, რომ ყოველთვის კეთილად და თავაზიანად სულაც არ ეპყრობიან ერთმანეთს. ამერიკაში ახლახანს წიგნიც კი გამოიეიდა, რომელშიც თავმოყრილია ვარსკვლავების მიერ ერთმანეთზე ნათქვამი გესლიანი ფრაზები. ახლა გთავაზობთ ამ წიგნიდან ამოღებულ ზოგიერთ იუმორით, ირონიით და ღვარძლით აღსავსე მაგალითს:

„ამერიკის ყველაზე შხამიან გველს" ამერიკელები CBS-ის ტელევიზიის თანამშრომელს, ჯოან რივერსს ეძახიან. არცაა გასაკვირი: მისი მახვილსიტყვაობა ხშირად რესპექტაბელურობის ფარგლებსაც სცილდება. ჯოან რივერსმა პრინცესა დიანაზე განაცხადა: „იგი დღეში იმდენჯერ იცვლის ტანსაცმელს, რამდენჯერაც მაჰათმა განდიმ თავის სიცოცხლეში მოასწრო". რივერსი ბარბარა სტრეიზანდს ასე იხსენიებს: „ქალის ტანსაცმელში გაბონოობილი რინგო სტარია!" პოპ-ვარსკვლავ პრინცზე კი ასეთი აზრისაა: „მაგიდის წითელ გადასაფარებელში გამოკრულ მამლაყინწას ჰგავს".

ჯოან რივერსს არც ნიუ-იორკელი პოპ-ხელოვანი ენდი უორპოლი ჩამორჩება: მწარე ენის წყალობით მანაც არაერთი მეგობარი გადაიქცია მტრად. მომხიბლავ გოლდი პაუნს უორპოლი მხოლოდ ერთხელ დაესხა თავს: „მას შესანიშნავი სხეული აქვს, მაგრამ სახეზე სამნუხაროდ ქათამს ჰგავს". ლიზ ტეილორის შესახებ ამბობს: „ნეტავი კი შემდეგ ცხოვრებაში მის ყველაზე დიდ ბეჭდად მოვევლინო ამ ქვეყანასო".

თავად მსახიობებიც ძალიან ხშირად კბენენ ერთმანეთს. განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე პირველხარისხოვან ვარსკვლავებს ეხება. მსახიობი ანდრეა მარკოვიჩი თავისი გამოჩენილი პარტნიორის ვუდი ალენის შესახებ ყვებოდა: „ფილმისთვის „ფრონტი" კოცნის სცენას რომ ვიღებდით, ვუდიმ მითხრა: „კოცნისას მხოლოდ ერთ ტუჩს შეგახებ, თორემ ორივე თუ მოგიშვირე, ამდენს ნამდვილად ვერ გაუძლებო".

ნასტასია კინსკი და რომან პოლანსკი

ჯოანა კოლინზი თავისი დიდი ხნის პარტნიორის, უორენ ბეტის სექსუალურ შესაძლებლობებზე ყვება: „აი, გაუმაძღარი ამას ერქვა! დღეში სამჯერ, ოთხჯერ, ხუთჯერ მისთვის უჩვეულო სულაც არ იყო. თანაც, პარალელურად ტელეფონითაც აგვარებდა საქმეებს..."

მერილ სტრიპი თავის ცნობილ კოლეგაზე, დასტინ ჰოფმანზე ყვებოდა: „დამიდგებოდა წინ და მკერდზე ხელს დამადებდა. ამ დროს ეფიქრობდი, რა ამაზრზენი ღორიამეთქი..."

სექსუალურ სცენებში გადალებისთვის მამაკაცებსაც კარგად აზღვევინებენ ხოლმე. ყველა ქალის რჩეული რიჩარდ გირი არაერთხელ გაუკიცხავთ. ქრისტოფერ რივი მის შესახებ იმასაც ამბობდა: „ყოველთვის მზადაა შარვლის ჩასახდელად. ყველა ფილმში ტიტველი დარბის..."

რიჩარდ გირი

ირონიის ოსტატები არც სხვებს ინდობენ. ბილი უილდერი ძველ ვარსკვლავზე ტონი კურტისზე ამბობს: „ტონის ინტერესების სფეროში მხოლოდ იოლადშესახსნელი შესაკრავიანი შარვლები და უზარმაზარი პონორარები შედის..." შელი უინტერსი რობერტ დე ნიროზე სიბრალულით აღნიშნავს: „რობერტს ნამდვილად სჭირდება ვინმე, ვინც მასზე იზრუნებს, თორემ სანაყალს არც კი გაუგონია, ზამთარში პალტოს რომ იცვამენ ხოლმე". ედნა მორო ბარტ ლანკასტერის შესახებ: „სანამ საფერფლეს გადაცლიდეს, ორი-სამი საათი მსჯელობს და ასაბუთებს, თუ რატომ აკეთებს ამას..." [illegible] ლი კურტისი შავკანიან კინოკლოუნს, კოსტნერის შესახებ: „მას პიროვნების დეფიციტი აქვს!" ლაიზა მინელი რობერტ დე ნიროზე: „პირველი კლასის ნაძირალაა!" მელისა გილბერტი მიშელ ფეიფერზე: „ერთი ნიხლის ამორტყმა არ ანყენდა, ნეტავ თვითონ თუ ხვდება რა ამაზრზენია, გაუთავებლად საკუთარი თავით რომ არის გულაჩუყებული!" კლაივ ჯეიმსი არნოლდ შვარცენეგერზე: „თხილით გატენილ კონდომს ჰგავს". შერი მერილ სტრიპზე: „მანქანა-მსახიობია, მეტი არაფერი".

არც სტივ მაკქუინის ირონიაა მოსანონი, როდესაც იგი ხანში შემავალ კატრინ დენიოვზე ამბობს: „იგი აისბერგს ჰგავს, რომლის სილამაზეც დღითიდღე დნება, დნება და დნება..." ან როცა პროდიუსერი დინო დე ლაურენტისი ჯესიკა ლენგს ამკობს: „ლამაზი სახე, არავითარი აზრი, დიდი მკერდი..." ან როცა ბილი უილდერი მერილინ მონროს შესახებ აღნიშნავდა: „მკერდი გრანიტისაგან გამთალილს უგავს, აზროვნების უნარი კი შეეიცარულ ყველზე მეტი არ გააჩნია"; ან როცა ჯოუს ჰეიბერი ჯულია რობერტსს ესხმის თავს: „დაიწყეთ თვალიერება ველური ფაფრიდან და დაასრულეთ ელასტიური ტუჩებით. რას ხედავთ? — ცხენს!"

ჯინა ლოლობრიჯიდა

ნაკლებად კომიკური არ არის, როცა ორი ვარსკვლავი ერთმანეთს ესხმის თავს, მაგალითად, ორი ცნობილი ქალბატონი, ჯინა ლოლობრიჯიდა და სოფი ლორენი, რომელნიც თითქმის ერთდროულად ითვლებოდნენ სექსსიმბოლოებად და ეკრანის ღვთაებებად და თანაც არა მხოლოდ იტალიის მასშტაბით, ერთმანეთს ასე ეპაექრებიან: სოფია ჯინაზე — „ძალიან შეზღუდული შესაძლებლობებისაა. ყოველთვის გამოდგებოდა გლეხის გოგოს როლში, ქალბატონობას კი ვერ მოიხდენდა". ლოლო კი ასეთი აზრისაა სოფიზე: „ნიჭიერია, მაგრამ არც თუ ისე".

არც ნასტასია კინსკი და მისი „აღმომჩენი" რეჟისორი რომან პოლანსკი არიან ერთმანეთზე უკეთესი აზრის. პოლანსკი ამბობდა: „ნასტიას თავისი კარიერის მეტი ამ ქვეყნად არაფერი აფიქრებსო". ნასტასიაც არ ჩამორჩებოდა მას: „პოლანსკი ათჯერ უკეთესი რეჟისორია, ვიდრე საყვარელი!" — აცხადებდა იგი.

ერთი ახლა ექს-საყვარლებს, მადონას და შონ პენსაც უსმინეთ: მადონა — მასთან ქორწინება სიკვდილთან წილის ყრას ნიშნავდა". პენი: „ეს ყველაფერი მხოლოდ ჭორი იყო. მე ცხოვრებაში ამ ქალს არასოდეს შეეხვედრივარ".

P.S. ყველა ციტატა ამოღებულია კორალ ამენდეს ამერიკული ბესტსელერიდან „თუკი არაფერი კარგი არ გაქვს სათქმელი..."

მოამზადა

ნათია ფანჯიკიძე

1996

შონ პენი და მადონა

ყოველდღე უფასო განცხადებები მხოლოდ «კავკასიონის» მკითხველთათვის. დაგვირეკეთ და განცხადება მეორე დღის ნომერში გამოქვეყნდება. ტელ.: 29-48-05.

იყიდება

- კერძო სახლი ნაძალადევის რაიონში, 3-ოთახიანი, სარდაფით, ეზოში ავტოფარეხით. ლეჩხუმის ქუჩა №42. ტელ.: 66-24-31. იკითხეთ ეკა (საღამოს საათებში).
- ოროთახიანი ბინა 40 კვ.მ. მეორე სართული, ღია აივნით, ეზოთი. მისამართი: ლესელიძის №9, კაფე „მაუგლის" თავზე. ტელ.: 98-40-36, იკითხეთ მარინა.
- 3 ოთახიანი, იზოლირებული ბინა დიღმის მასივში (დიდუბის ხიდთან) მე-2 კვარტალი, მე-6ბ კორპუსი, მე-4 სადარბაზო, მე-8 სართული, მიშენებული ლოჯიით 48 კვ. დაშენების უფლებით, ფასი 20 000 ლარი. ტელ.: 93-10-49 51-56-99 (მაიკო).
- ათოთახიანი კერძო სახლი ეზოთი. ფასი 60 000 ლარი. მისამართი: ზემო ვეძისის დასახლება №103 (მარინა).
- ერთსართულიანი სააგარაკო სახლი 600 კვ.მ.ეზოთი, საუკეთესო ჯიშის მსხმოიარე ხეხილით, 1800 კვ.მ. ვენახით, გურჯაანის რაიონის სოფელ ჯიმითში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 99-81-52 ელენე (12 სთ-დან 18 სთ-მდე).
- 6-ოთახიანი ბინა საბურთალოს ცენტრში. ბინას აქვს დიდი სამზარეულო, ოთხი დამხმარე სათავსო, 2 ტუალეტი, დიდი აბაზანა, 2 აივანი, 2 სარდაფი და კაპიტალური ავტოფარეხი. ფასი შეთანხმებით. მისამართი: გამსახურდიას გამზ. 37, მე-2 სად. ბინა 19. ტელ.: 37-17-78.
- ერთოთახიანი ბინა გამსახურდიას გამზირზე, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული, აივნით და ტელეფონით. ფასი 15 000 ლარი. ტელ.: 39-14-25 (ნელი).
- 4-ოთახიანი სუფთა, ტელეფონიანი ბინა გლდანის პირველ მიკრორაიონში (მოსკოვის პროექტი), VIII სართულზე (9 სართულიანში); ფასი 8000 დოლარი. ცნობებისთვის დარეკეთ: 67-30-53 ან 66-43-98.
- ან იცვლება აგარაკი ასურეთში, ნაკვეთები კვესეთში (ბეთანია) და ლილოს ბაზრობასთან. სამგორის ყოფილ საბჭოთა მეურნეობაში, 1-2 ნლის მსუბუქ ავტომანქანაზე.
- თბილისში ერთოთახიან ან ოროთახიან ბინაზე ოზურგეთში ორსართულიანი სახლი დიდი მინის ნაკვეთით (5000 კვ.მ.), ტელ.: 23-38-26.
- სოფელ ახალუბანში თბილისიდან 28 კმ-ის დაშორებით ორსართულიანი სახლი 1200 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. 6000 ლარად. ტელ.: 93-17-71 დილის საათებში
- ხუთოთახიანი მშენებარე ბინა ვაკეში, საცურაო აუზთან. საერთო ფართი 240 კვ.მ. ბინა დამთავრების სტადიაში, აქვს ავტოფარეხი I სართულზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 95-42-91
- ან იცვლება გარემონტებული, პრივატიზებული, სამსართულიანი ბინა წერეთლის გამზირზე, სინათლე მუდმივია.
- ცნობებისთვის დარეკეთ: 36-84-03 ან 39-24-52. იკითხეთ ვაჟა.
- აგურის ერთსართულიანი ხუთოთახიანი ბინა 2500 კვ. მ. მინის ნაკვეთით, კასპის რაიონი, სადგური მეტეხი. საწყისი ფასი 3 500 ლარი. ტელ.: 98-59-84
- ვაჟა-ფშაველას №5-ში ხუთსართულიანი სახლის მეხუთე სართულზე ექვს ოთახიანი ბინა, ლოჯიით. ჭერის სიმაღლე 3,60, ფართობი 250 კვ.მ., ორი ტუალეტით, სამრეცხაოთი, საკუჭნაოთი, ტელეფონით და ავტოფარეხით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 22-54-96 (დოდო).
- ან იცვლება ორსართულიანი კაპიტალური სახლი ბირჯომში, მტკვრის მარჯვენა მხარეს, 1200 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. გათბობის სისტემა და რუსული აბანო, აივჯით. ფასი 25 000 ლარი. ტელ.: 38-01-11.
- ან იცვლება ორსართულიანი კაპიტალური სახლი ოზურგეთში, თოიძის ქუჩაზე 800 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი, სათავსოებით, აივჯით ან უაივჯოდ კაპიტალური შემოღობვით. ფასი 50 000 ლარი. ტელ.: 38-01-11.
- სამოთახიანი ბინა საბურთალოზე, ტიპიური პროექტით, ძველი რემონტით, ორმაგი კარ-ფანჯრით, რკინის კარით, სამზარეულოთი, აბაზანა კაფელშია. ფასი 33 000 ლარი. ტელ.: 39-84-23.
- არასტანდარტული, გარემონტებული 4-ოთახიანად გადაკეთებული 3-ოთახიანი ბინა ორმხრივი აივნით. ოთახთა ფართი: 28 კვ.სმ., 16 კვ.სმ., 15 კვ.სმ., 11 კვ.სმ., ლოჯია 18 კვ.სმ. რკინის კარებით. მუდმივი ცხელი წყლით, სარდაფით, კაპიტალური ავტოფარეხით. 8 სართულიანი სახლის მე-4 სართულზე. საბურთალოს ქუჩაზე. ტელ.: 38-11-02.
- დაბა ხარაგაულში (ჭავჭავაძის ქ.№ 9) ორსართულიანი კაპიტალური სახლი, გარაჟით, დამხმარე სათავსოებით, საბაღე მინის ნაკვეთით, ტელეფონით. მსურველებმა დარეკონ ხარაგაულში: 2-15-42. თბილისში: 37-55-39 (ნათელა).
- წყნეთში ორსართულიანი კორპუსის I სართულზე ოთახნახევრიანი იზოლირებული ბინა სამზარეულოთი, აბაზანა-ტუალეტით, ავტოფარეხით, საბოსტნე ადგილით, ტელეფონით. ბინა არის ბელეტაჟზე, კუთხის, მიშენების პერსპექტივით. ტელ.: 29-86-55 ან 73-78-90. ფასი შეთანხმებით.
- საბურთალოზე, მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან" სამოთახიანი, ახლადგარემონტებული მაღალჭერიანი ბინა. ოთახების ფართია 20, 22 და 40 კვ.მ., 6-სართულიანი სახლის მეორე სართულზე, კედლის კარადებით, ტელეფონით, სარდაფით, აივნით, რომელსაც მიშენებული აქვს ორი რკინის კარადა. საერთო ფართი 120 კვ.მ. ტელ.: 38-37-43.
- სამოთახიანი, არასტანდარტული, გარემონტებული ბინა საბურთალოს ცენტრში, მეოთხე სართულზე, მეტრო „პოლიტექნიკურთან". ფასი 54 000 ლარი. ტელ.: 38-01-11.
- სამსართულიანი, კაპიტალური, კერძო სახლი სოფელ გალავანში საგურამოსთან, 1500 კვ.მ. ხეხილიანი ბაღით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-01-11.
- ოროთახიანი ტიპიური, გარემონტებული ბინა საბურთალოზე, ბახტრიონის ქუჩაზე. ფასი 24 000 ლარი. ტელ.: 38-01-11.

ვიყიდი

- ერთოთახიან ბინას ქალაქის ნებისმიერ რაიონში 1200 ლარის ფარგლებში. ტელ.: 23-26-84.

ვცვლი

- ტიპიური პროექტის ერთოთახიან ბინას მაღალ ბელეტაჟზე „კოკკასიის ბირჟის" პირდაპირ, ასევე ტიპიური პროექტის ერთოთახიან ბინაზე მეტრო „დელისის" მიდამოებში თანხის დამატებით. პირველ და ბოლო სართულებს ნუ შემოგვთავაზებთ. ტელ.: 38-18-06 31-76-07.
- 5 ოთახიან გარემონტებულ და 1,5 გასარემონტებელ (საერთო ფართი 80 კვ.მ.) ბინებს დიდუბის პანთეონთან ერთ სადარბაზოში მე-3 და მე-2 სართულებზე — ავტოფარეხით, მანქანის დასაყენებელი ადგილით, სარდაფით, ტელეფონებით — საკუთარ სახლზე ეზოთი, საბურთალოზე (შესაძლებელია საკუთარი სახლის ყიდვაც შეთანხმებიდან 1 თვეში ბინების გაყიდვის შემდეგ). ტელ.: 34-72-36.
- თემქაზე მე-3 მიკრორაიონში ჩეხური პროექტის ოროთახიან სუფთა ბინას (მე-7 სართული, უტელეფონოდ) და დიდ დიღომში მე-3 მიკრორაიონში ახალ ბინას (მე-16 სართული), სამოთახიან „ხრუშჩოვკაზე", ვაჟა-ფშაველაზე ნებისმიერ ადგილას. ტელ.: 99-76-70. იკითხეთ ირა.

ვაქირავებ

- ვერაზე 2-ოთახიან ბინაში ერთ ოთახს, გოგონებისთვის. ფასი 70 ლარი. ტელ.: 29-18-06.
- საბურთალოზე, მეტროსადგურ „გოცირიძესთან" (უწინდელი „დელისი") ახლოს, რვასართულიანი სახლის მეხუთე სართულზე ერთოთახიან, იზოლირებულ, უტელეფონო ბინას, თვეში 90 ლარად. ტელ.: 74-48-92.
- ოროთახიან ბინას, ტელეფონით, ავეჯით, საბურთალოზე, მიცკევიჩის ქუჩაზე (კომისარიატის თავზე). ტელ.: 37-29-15 (დათო).
- რამდენიმე წლით მინისქვეშა გარაჟს ჯანდაცვის სამინისტროს ეზოში.
- 3-ოთახიან იზოლირებულ ბინას, ფალიაშვილის №25-ში. ფასი შეთანხმებით.
- ერთ სართულს ორსართულიან კერძო სახლში, საერთო ფართი 150 კვ.მ. 200 კვ.მ. ეზო, საოფისედ, საბურთალოზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-01-11.
- ოროთახიან ბინას ლოჯიით, ტელეფონით, მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან", რესპუბლიკური საავადმყოფოს მოედანთან 5 სართულიანი სახლის პირველ სართულზე. ფასი 150 ლარი. ტელ.: 37-23-78.
- ახვლედიანის ქუჩაზე (ყოფილი პერვომაისკაია), ყოფილი ვერის ბაზრის გვერდით 18 კვ.მ. ოთახს ოფისისთვის ან მაღაზიისთვის. ტელ.: 93-44-05.

- ვყიდი პრესტიჟულ ამერიკულ მანქანას „ფორდ-მერკური-მონარქი". საწყისი ფასი 5000 ლარი. ტელ.: 34-72-36.

სხვადასხვა

- ვყიდი „ლეჟაკის" ტიპის ფუტკრის ახალ სკებს, დაკომპლექტებული ჩარჩოებით და დასათბუნებელი ბალიშებით, 25 ცალს. ცნობებისთვის დარეკეთ: 95-73-08 -- ვახტანგი.
- ვყიდი საძინებელ ავეჯს „ლუდოვიკო" და „ავრორა" და 9-ფოთლიან „გორკას". ტელ.: 96-89-17, იკითხეთ ნუგზარი ან ილო.
- ვყიდი ჩინურ ყავის სერვიზს „დრაკონი" 6 კაცზე. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 34-04-05, იკითხეთ ეკა.
- ვყიდი გერმანულ პიანინო „როინიშს". ფასი შეთანხმებით; ფინურ რბილ სამეულს, გადაკრულს ხავერდის ნაჭრით. ფასი 1500 ლარი. ტელ.: 37-17-63.
- ვყიდი იუგოსლავიურ კედელს „მირაჟი"; ბულგარულ საძინებელს „სოფიოს"; პოლონურ კედელს „დოროცა"+რბილი სამეული+სანერი მაგიდა; კედლის ძველებურ სარკეს 1X1,5. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-16-78 ან 39-34-37.
- ვყიდი „გარაჟის" რკინის კარებს, ზომა: სიგანე-2,7 მ. სიმაღლე-2,3 მ. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-07-04 (ოთარი), 36-24-83 (მზია) (საღამოს საათებში).
- ვყიდი 2-ტონიან, უუანგავ ლითონის ავზს, ზომა 2 X 1 X 1, ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-07-04 (ოთარი), 36-24-83 (მზია) (საღამოს საათებში).
- ვყიდი მანქანის კონდენციონერს, იაპონური, „ხიტაჩი". ფასი 200 ლარი. ტელეფონი: 93-11-81 მარინა
- ვყიდი „ოპელ-ხენატორს" 1986 ნლის გამოშვება, ყავისფერი პერლამოტრი, კარგ მდგომარეობაში, ლუკით, ფასი 4000 ლარი. ტელეფონი: [illegible]
- ვყიდი 6 ტონიან ბენზინმზიდს. ტელეფონი: 38-21-40 იკითხეთ ირაკლი

სამუშაო დღეებში დარეკეთ 7 საათის შემდეგ.

მომავლის სკოლა

არასახელმწიფო საერო სასწავლებელი «მომავლის სკოლა»

სკოლის და უფროსი ასაკის მსმენელებს იწვევს სკოლასთან არსებულ, როგორც სასაუბრო, ასევე საქმიანი ურთიერთობებისათვის საჭირო

ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე

კურსებს გაუძღვებიან სკოლის პედაგოგები, რომლებსაც ამერიკული კორპორაცია A.C.E.-ს პროგრამით ინგლისურ ენაზე სასწავლო პროცესის წარმართვის გამოცდილება გააჩნიათ.

ანგარიშსწორების ფორმა, როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო

ასს „მომავლის სკოლის" ოფისის მისამართი: ქ.თბილისი, ბარნოვის ქ. №69. შესასვლელი ეზოდან.

ტელეფონი: 23-31-99.

რელიგიის საგნის მასწავლებელთათვის განკუთვნილი სტიპენდია ინგლისში

პროფესორ რევაზ იკარაძის, პროფესორ რევაზ ხარაძისა და ბატონ ვახტანგ რიდონიას 1995 წლის იანვარ-ივლისში ინგლისში ვიზიტის შედეგად, „ეროვნულ-ეროვნული ორასეული" ლაურეატებს რელიგიის საგნის ერ ახალგაზრდა მასწავლებლებს, რომლებიც გამიზნულნი ყოფილნენ 12 კვირიან 1997 წლის იანვრისა. სტიპენდია მიეკუთვნებათ რელიგიის საგნის მასწავლებლებს იმ მიზნით, რომ ინგლისში მიღებული ცოდნა და გამოცდილება გამოიყენონ ქართულ სკოლაში. მასწავლებლები იცნობენ ოქსფორდის მაჩლიანლად. მათ ხელმძღვანელობას გაუწევენ რელიგიის საგნის გამოცდილი სპეციალისტები.

უნიკალურია მიენიჭება 25-35 წლის ასაკის მასწავლებლებს, რომლებიც აქვთ დაწყებული კლასების და მოზრდილი ასაკის მოსწავლეებთან მუშაობის ხელ მცირე ორი წლის გამოცდილება და რომელთათვისაც რელიგიის საგანი სკოლაში მუშაობის ძირითადი ან ნაწილობრივი დატვირთვაა.

სტიპენდიის მიღების მსურველთ უნდა აქვნდეთ მომავალში რელიგიის სწავლების სრულყოფისათვის საჭირო მოსაზრებები.

აუცილებელია ინგლისური ენის სათანადო ცოდნა (საუბარი და წერა).



განცხადების ფორმა მოიკითხეთ — მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ინსტიტუტი. თბილისში, დავით აღმაშენებლის 178, ტელ.: 34-11-34.

განცხადების მიღების უკანასკნელი ვადაა

1996 წლის 31 მარტი.

საქართველოს მუსიკალურ-პედაგოგიური ინსტიტუტი იუწყება ამავე ინსტიტუტის კათედრის გამგის, ქალბატონ მანანა ახმეტელის დედის

ქეთევან გიორგის ასულ ჩუბინაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ბესო!

შენმა ტრაგიკულმა და მოულოდნელმა აღსასრულმა ყველას თავზარი დასცა და დაამუნჯა. არავის უნდოდა შენი სიკვდილის დაჯერება. ყველას სიამაყე და იმედი იყავი ჩვენო ცისფერთვალება ლამაზო ბიკო. რაჭაში ლაღად გაზრდილი ვაჟკაცი, რაჭის მთებივით ამაყი და ახოვანი, ამიტომაც ტეპატარავებმოდა ცხოვრების ასპარეზისთვის მშობლიური ონი, ამიტომაც მიაშურე უსასრულო რუსეთს, არადა, რა ტრაგიკული აღმოჩნდა შენთვის სუსხიანი მოსკოვი.

შენი დალუპვის ამბავი მეზივით გასკდა რაჭაში. მეორედ იძრა მიწა შენს მშობლიურ რაიონში. ყველა გლოვობდა, მაგრამ ვერავინ ბედავდა, მშობლებისთვის ემცნო მათი ერთადერთი ვაჟკაცის დალუპვა.

უშენოდ მოვიდა გაზაფხული, ბესო. რა პასუხი გავცეთ შენს გაუბედურებულ მშობლებს, ან ჩვენ რითი ვინუგეშოთ თავი. ვინ ანაზმიანებს ჩარკვიანების გაცივებულ კერას, უშვილძიროდ დატოვებულ ფუძეს.

ერთადერთ იმედად შენი ნათელი ხსოვნა დაგვრჩენია. არიან ადამიანები, რომელთა ხსოვნას დრო ფფერმკრთალებს. მათ სახელებს მარტოოდენ გაცრეცილი სფლავის ლოდი ინახავს, მაგრამ არიან ადამიანები. რომელთა ხსოვნას დროის დინება უფრო ამძაფრებს, ხოლო მათ სახელებს ჩრდილი არ ეკარება. ჯერეროდეს, რომ ვიდრე ზემო რაჭაში ერთი კერა მაინც იღუღუნებს, იქ შენი სახელიც დაუვიწყარი იქნება.

ოჯახი და არიანი

კროსვორდი

ჰორიზონტალურად: 7. ნობელის პრემიის ლაურეატი ინგლისელი მწერლის — საგვარეულო ისტორიის შესახებ ტრილოგიის მთავარი მოქმედი პირი; 8. ძველბერძენი სწავლული, მათემატიკოსი, პიდრავლიკოსი, ავტორი კანონისა ამომგდები ძალის შესახებ; 9. ევრიპიდეს ტრაგედია; 10. ბერძნული ანბანის ასო; 11. რუსი საბავშვო მწერალი ქალის სახელი; 14. ზღვის ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 17. აზნაურის ტიტული გრაფსა და ბარონს შორის დას.ევროპის ქვეყნებში; 18. იტალიელი მწერალი — „რომაელი ქალის", „ჩოჩარასა" და სხვ. ავტორი; 19. დედალოსის შვილი; 21. სხივის კრთომა-ციალი, კიაფი; 25. მე-19 ს. შუა პერიოდის ქართველი მწერალი; 28. ქართული ხალხური სიმღერა-ცეკვა; 29. დნეპრის მარცხენა შენაკადი; 30. ამერიკული კინოგმირი — დაზვერვის აგენტი; 31. დამოუკიდებელი, ცალკე არსებული; 32. უმაღლესი ძალაუფლების მპყრობელი;



ვერტიკალურად: 1. ძველბერძენი ეპიკოსი პოეტი — ლეგენდის მიხედვით — ბრმა მოხეტიალე მომღერალი; 2. რუსეთში უმსხვილესი, ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველი სოციალისტ-რევოლუციონერების პარტია ან მისი წარმომადგენელი (როგორც მათ უწოდებენ); 3. მთათა სისტემა ევროპის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში; 4. ებრაელთა საღმრთო წიგნი; 5. ოპერეტის რუსი მომღერალი ქალი, სახალხო არტისტი; 6. უმაღლესი ოფიცრის ჩინი საზღვაო ფლოტში; 12. არგენტინელი მწერალი, ავტორი რომანისა „ბოლო რაუნდი"; 13. იტალიელი კინორეჟისორი; 15. შხამიანი გველი; 16. იტალიური წარმოშობის ცნობილი ამერიკელი მომღერალი, ტენორი; 20. დაწერილი ფურცლის ცალი პირი, გვერდი; 22. მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი; 23. ავტონომიური რესპუბლიკა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, რომელიც ფინეთს ესაზღვრება; 24. შომკვანიანი ეკონომიკური ან სხვა საქმიანობა; 26. მეცნიერება ნივთიერების აგებულების, შემადგენლობის თავისებურებების შესახებ; 27. ამერიკელი კინოვარსკვლავი ქალი (ან გარდაცვლილი).

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

შვეულად: 1.პაპუანი. 2.სპილო. 3.კრანტელი. 4.ანარა. 5.პირამიდა. 10.ქვირითი. 11.ნიანგმა. 12.ფეტვი. 13.თევზი. 15.ომალო. 16.ომარი. 18.ბოლთა. 22.ვარდი. 23.ბადელი. 24.ჯავრი. 25.ტაქსი. 27.ყაიმი. 28.რძალი.

თარაზულად: 6.ასპირანტი. 7.ნატო. 8.ალმა. 9.ოტა. 13.თაგვი. 14."ფილაო" 17.ცეცე. 19.მამა. 20.დიალოგი. 21.გიეიმ. 24.ჯოტია. 26.იყარა. 29.ლარი. 30.ამბროსი.

ბინების და სახლების ყიდვა-გაყიდვა

„კედარი" „KEDARI"

ტელ.: 22-36-25, 22-22-73 **საუკეთესო ფირმა** ტელ.: 22-36-25, 22-22-73

გვაქვს ბინების, საკუთარი სახლების, ოფისებისა და სხვა მონაცემთა დიდი საინფორმაციო ბანკი ვაკეში — ვერაზე — საბურთალოზე.

ვაკეში მცხეთის ქუჩის დასაწყისში ერთსართულიანი საკუთარი სახლი 4 ოთახით, სარდაფით, ეზო 250 კვ.მ. ფასი: 90 000 ლარი.

ვაკეში კარგ ადგილზე მინის ნაკვეთი, ახალი სახლის ასაშენებლად ფართობით 300 კვ.მ. ფასი: 40 000 ლარი.

ვაკეში ფალიაშვილის ქუჩაზე მე-3 სართულზე, არასტანდარტული იზოლირებული ბინა, მაღალი ჭერით, 2 აივნით, სამზარეულო 16 კვ.მ. ფასი: 70 000 ლარი.

ვაკეში ი.ჭავჭავაძის გამზირზე ერთ სართულზე 3+2-ოთახიანი ბინა, საერთო ფართობით 180 კვ.მ. ფასი: 130 000 ლარი.

ვაკეში ი.აბაშიძის ქუჩაზე (ყოფილი ბარნოვი) მე-4 სართულზე არასტანდარტული 4-ოთახიანი ბინა, ორი დიდი აივნით, კარგი ხედით. ფასი: 120 000 ლარი.

ვაკეში ი.აბაშიძის ქუჩაზე ორი ბინა (დუპლექსი) საერთო ფართობით 250 კვ.მ. ფასი: 100 000 ლარი.

ვაკეში ცხვედაძის ქუჩაზე დიდი საკუთარი სახლი, დიდი ეზოთი. ფასი: 150 000 ლარი.

ვაკეში ატენის ქუჩაზე 3-ოთახიანი ბინა, დაშენების პერსპექტივით. ფასი: 60 000 ლარი.

ვერაზე თარხნიშვილის ქუჩაზე მე-2 სართულზე, არასტანდარტული 4-ოთახიანი ბინა ლოჯიით, რემონტით, ძველი ანტიკვარული ავეჯით (ბინის მთლიანი განყობილობა) ბინის ფასი ცალკე 125 000 ლარი. ავეჯით — 160 000 ლარი.

ვერაზე ბელინსკის ქუჩის დასაწყისში ორსართულიანი დამოუკიდებელი სახლი, მაღაზიისთვის, ოფისისთვის. ფასი: 125 000 ლარი.

საბურთალოზ ცენტრში ალ ყაზბეგის გამზირზე ოფისი-მაღაზია. 7 ოთახი. საერთო ფართობით 130 კვ.მ. სარდაფი 32 კვ.მ. ფასი 60 000 ლარი.

მეტრო „დელისთან" მე-4 სართულზე 5-ოთახიანი კუთხის ბინა, რემონტით, ფასი: 70 000 ლარი.

საბურთალოს ცენტრში საკუთარი სახლი, 6 ოთახი, ეზო 400 კვ.მ. ფასი: 125 000 ლარი.

საბურთალოზე კუტუზოვის ქუჩაზე დიდი 4-ოთახიანი, საერთო ფართობით 150 კვ.მ. დიდი სარდაფით. ფასი: 70 000 ლარი.

საბურთალოს ცენტრში იზოლირებული 1-ოთახიანი, მაღალი ჭერით. ფასი: 13 000 ლარი.

ბახტრიონის ქუჩაზე არასტანდარტული 2-ოთახიანი, კარგი რემონტით. ფასი: 40 000 ლარი.

უცხოელი იყიდის სახლს ან ბინას.

ფირმის მისამართია:

ფალიაშვილის ქ. 118, ვაკის პარკთან, სახლმმართველობის შენობაში, მე-2 სართული.

მიღება ყოველდღე: 10-დან 18 საათამდე.

დამფუძნებელთა საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი ვასილ მაღლაფერიძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა ვეშაპიძე

გენერალური დირექტორი პახტანგ სალია

პასუხისმგებელი რედაქტორი ზაზა ტალახაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.